გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№30 (925) 28 – 30 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125 დაცვის პოლიცია

დიმიტრი შაშკინი „ვერსიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის

გვ. 3

რა მიზნით იმყოფებოდა საქართველოში რუს ექსპერტთა ჯგუფი, რა მოთხოვნა წაუყენეს მათ ხელისუფლებას და როგორ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას მიხეილ სააკაშვილი

17 მაისს ლგბტ აქცია აღარ ჩატარდება!

ვის გამოიყენებენ ნაციონალები „თბილისური მაიდნის“ მოსაწყობად გვ. 6

გიული ალასანიას „კორუფციული რვაფეხა“ განათლების სფეროში

სახელმწიფო ბალანსზე არსებული რომელი შენობები მიითვისა სააკაშვილის ოჯახმა უკანონოდ

გვ. 4

„m² უძრავმა ქონებამ“ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტი წარადგინა გვ. 7

ვინ არიან ხუდონჰესის ინვესტორები? გვ. 5

პროექტის „იზრუნე მომავალში“ ფარგლებში, „ნატახტარის“ ფონდში 143 742 ლარი შეგროვდა

რა აკავშირებთ ბილდტსა და ბრაიზას საქართველოსთან

გვ. 2

დუშეთის რაიონში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება

იარალთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად ჯარისკაცი გარდაიცვალა

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რიგითი თაბუკაშვილი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რიგითი ლაშა გიორგის-ძე თაბუკაშვილის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

1994 წელს დაბადებული რიგითი ლაშა თაბუკაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2013 წლიდან ირიცხებოდა. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საინჟინრო ბრიგადაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

„პირველი“

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ თანამდებობა დატოვა

ნოდარ ყანჩაველი, ამ გადაწყვეტილების მიზეზად, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან უთანხმოებას ასახელებს და აცხადებს, რომ მინისტრს სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ-ების ხელმძღვანელებთან კოორდინაცია არ აქვს, რის გამოც სამინისტროს ბევრი თანამშრომელი თანამდებობის დატოვებას გეგმავს: **„წამოვედი იმის გამო, რაც ხდება სამინისტროში. ძირითადი მიზეზი მინისტრიდან გამომდინარეობს. პრეტენზიები ეხება მის მიდგომას თანამშრომლებთან, მისი არაადეკვატური შენიშვნები და შეურაცხმყოფელი ეპითეტები. დიდი პრობლემებია მენეჯმენტის კუთხითაც. მას კოორდინაცია აქვს მხოლოდ გარემოცვასთან, დაახლოებულ პირებთან. მაღალი თანამდებობის დანარჩენ პირებთან — თავმჯდომარეებთან, თავმჯდომარის მოადგილეებთან, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა სსიპ-ში მომუშავე რგოლის მენეჯერებთან საერთოდ არ აქვს ურთიერთობა, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ბევრმა თანამშრომელმა უკვე დატოვა თანამდებობა, ნაწილი რიგში დგას და ეძებს ახალ სამსახურს, რათა როგორც კი საშუალება მიეცემათ, წავიდნენ. ეს სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არ ხდება, ძირითადად, ადგილი აქვს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებში, როგორიცაა იუსტიციის სახლი, საჯარო და სამოქალაქო რეესტრი“.** მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემის შესახებ მინისტრი საქმის კურსში იყო, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა.

„პირველი“

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბათუმში მდებარე სასტუმრო „ლალე პალასის“ დროებითი მფლობელი, 1968 წელს დაბადებული რამინ ხ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ქალბატონებს გარკვეული თანხის სანაცვლოდ ოთახებს პროსტიტუციისთვის სისტემატურად უთმობდა.

სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

რა აკავშირებთ ბილდტსა და ბრაიზას საქართველოსთან

გიორგი იაშვილი

დიდი ხანია ქართველებს ერთი უცნაურობა გვჭირს — საკმარისია, რომელიმე ევროპული ქვეყნის წარმომადგენელმა რამე თქვას, მაშინვე ავიტაცებთ და ამას როგორც კანონზომიერებას, ისე ვიღებთ. რეალურად სულ ერთია, ვინ არის ის, რა უნდა ზოგადად, აქვს თუ არა წონა მის სიტყვას, მთავარია, ევროპელია. მერე, ის ფრთა, რომელსაც ესა თუ ის ევროპელი აქებს, ამ თემას ხელზე იხვევს და ოპონენტს მუდმივად ამუნათებს, ხედავ, იმ კაცმა ჩვენზე რა თქვაო.

„ის კაცი“ ბოლო დროს ძალიან ხშირად იყო კარლ ბილდტი. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რეკორდსმენია საქართველოში ვიზიტებით. ის ჩვენს ქვეყანას 11-ჯერ ესტუმრა და თუ ვინმემ მისი სტუმრობით სიკეთე ნახა, არ დაგვიმალოთ. სწორედ ბილდტი იყო ის ადამიანი, რომლის მიერ ნოემბერში ნათქვამი კომენტარი ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მარტში გამოიყენა და ბილდტმაც არ გააპროტესტა. ის, რაც მან თქვა, წყალს ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამდა. ზოგადად, წინა ხელისუფლებასთან, ბილდტი ძალიან „ჩახუტებული“ იყო. შევეცადეთ ამ „უანგარო“ მეგობრობის მიზეზი გაგვერკვია.

ბილდტი პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა. მისი ბიზნესი კი საკმაოდ გავლენიანი და ცნობილი პიარკომპანია, Kreab იყო. ამ კომპანიის მომსახურებით საქართველოს წინა ხელისუფლება სარგებლობდა და არაერთ მილიონს ურიცხავდა. „ჩვენი კომპანია იყო საქართველოს „დამატებითი ხელი ბრიუსელში“. ჩვენ ვეხმარებოდით მმართველ პარტიას ევროპელ პოლიტიკოსებთან და ორგანიზაციებთან ახლო კავშირების დამყარებაში. აგრეთვე — მედიასთან თანამშრომლობაში, რათა საქართველოს შესახებ ინფორმაცია დადებითად გაშუქებულიყო“, — ეს განცხადება კომპანიის ბრიუსელის ბიუროს ხელმძღვანელს, კარლ ისაკსონს ეკუთვნის.

ისაკსონი იმასაც ადასტურებს, რომ ბილდტი პოლიტიკაში წასვლამდე კომპანიის დირექტორი იყო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებასთან, უშუალოდ კი, მიხეილ სააკაშვილთან. ბილდტის სახელს უკავშირდება საქართველოდან შვედეთის ელჩის, ჰანს გუნარ ადენის გაწვევაც. ადენმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დააყენა და მის გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობას დიდი კითხვისნიშანი დაუსვა. საპასუხოდ ბოლდტმა თბილისიდან შვედეთში შემდეგი სახის წერილი გაგზავნა: **„არჩევნების შედეგები არანაირ ეჭვებს არ ბადებს და ჩვენ ყველას გვაქვს მიზეზი მივულოცოთ საქართველოს კიდევ ერთი არჩევნები, რომელმაც მოახდინა დემოკრატიის და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის დემონსტრირება, მიუხედავად ზოგი ხარვეზისა“**... ამის შემდეგ ადენი მოხსნეს, საქართველოში კი ელჩად... ბილდტის ყოფილი თანაშემწე დაინიშნა. ეს იმდენად სკანდალური მოვლენა იყო, რომ ევროპულმა გამოცემამ გამოძიებაც კი დაიწყო და ბილდტი იძულებული გახდა, ჟურნალისტურ გამოძიებაზე ოფიციალური პასუხი გაეცა: **„მე არასდროს მქონია ბიზნესკავშრები საქართველოში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად ავრცელებენ ამ ინფორმაციას, მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს“**.

თანამდებობა აღარ აქვს, თორემ წინა ხელისუფლების თავგადაკლული ქომაგი მეთიუ ბრაიზა ცდას არ აკლებს საქართველოს ყოფილი ხელისუფლება დაიცვას. უფრო კონკრეტულად, ბრაიზა მიხეილ სააკაშვილის გვერდში დგომას არ თაკილობს და მუდმივად ცდილობს, დემოკრატიის მიმქრალ შუქურას სული ჩაბეროს.

ბრაიზას პოლიტიკურ კარიერას ყველაზე დიდ წინააღმდეგობად მისი მეუღლე, თურქული წარმოშობის ამერიკელი, ზეინო ბარანი ექცა. ამ ქალის სახელი ტერორისტულ ორგანიზაცია „ერგენეკონსაც“ დაუკავშირეს. წერდნენ, რომ შიდა ქსელის კავშირები სწორედ ბარანის აწყობილი იყო. ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ქალბატონი ბრაიზას ტერორისტობა, მაგრამ ფაქტია, რომ აზერბაიჯანი-სომხეთის კონფლიქტში ბრაიზამ ცალსახად დაიჭირა აზერბაიჯანელთა მხარე და ამას ექსპერტები ცოლის გავლენას მიაწერენ. კითხვებს ბადებს ისიც, რომ ქორწილი, რომელიც ბრაიზამ თურქეთში გადაიხადა, ზედმეტად პომპეზური იყო. მაშინვე ითქვა, რომ ეს ხარჯები ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა თანაბრად გაინაწილეს.

ყარაბაღის კონფლიქტისადმი არასათანადო დამოკიდებულება გახდა მიზეზი, რომ ბრაიზას აზერბაიჯანში ელჩად მუშაობა არ დასცალდა. მას გზა ამერიკის სენატში არსებულმა სომხურმა ლობმა გადაუღობა და კონდოლიზა რაისის ფავორიტის კარიერული წინსვლაც დაასრულა.

ბრაიზა აცხადებს, სიყვარულისთვის ვისჯებიო, მაგრამ პოლიტიკა სენტიმენტებს რომ არ სცნობს, მეთიუმ ჩვენზე უკეთ უნდა იცოდეს. რატომ არის მნიშვნელოვანი დღეს ბრაიზას აზრი, ვერ გეტყვით, მაგრამ მას, როგორც მენტორს, ისე უსმენენ და ეს ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს?!

ვერსიანიუსი

კონტრაქციები და ფიზიკური შეხლა-შემოხლა პროკურატურასთან და პუშკინის სკვერში

როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ სააკაშვილი 27 მარტს პროკურატურაში არ გამოცხადდა. პროკურატურამ მას დისტანციური დაკითხვა (მაგ. skype) შესთავაზა და მოსაფიქრებლად ერთი კვირა მისცა. სამაგიეროდ, პროკურატურასთან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოცხადდნენ და აქციაც მოაწყვეს, სახელწოდებით — „მე დღეს მიშა ვარ, მეც დამკითხეთ“. აქციის მონაწილეები, რომლებიც პროკურატურაში ექსპრეზიდენტის ჩაბარების ფაქტს აპროტესტებდნენ, აცხადებდნენ, რომ მათი ღონისძიება ნაციონალების მიერ არ იყო მოწყობილი და ზოგადად, მათ გვერდით, არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ იდგა. მიუხედავად ამისა, მთავარ პროკურატურასთან ჩატარებულ აქციას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია — პარალელურად, იმავე ტერიტორიაზე საპირისპირო აქციაც გაიმართა. ნაციონალების მოწინააღმდეგეებმა, „მე დღეს მიშა ვარ, მეც დამკითხეთ“ აქციის მონაწილეებს პლაკატები დაუხიეს, რის შემდეგაც, მათ შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ინციდენტის გამო, მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო მოძრაობა შეფერხდა. სამართალდამცავები იძულებულნი გახდნენ, 2 პიროვნება, მათ შორის, მელორ ვაჩნაძე დაეკავებინათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აქციის მონაწილეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა ასევე ორი ურთიერთსაპირისპირო აქცია პუშკინის სკვერში. ერთ აქციას არასამთავრობო ორგანიზაცია „დედამიწა ჩვენი სახლია“ მართავდა და რუსეთსა და მის ქმედებებს უკრაინასთან მიმართებაში მხარს უჭერდნენ. კონტრაქციის მონაწილეები კი პროკურატურიდან წამოსული მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები არიან, რომლებიც რუსეთის ქმედებებს აპროტესტესტებდნენ.

სამართალდამცავებმა, აქციის რამდენიმე მონაწილე, პუშკინის სკვერშიც დააკავეს.

„ვერსიანიუსი“

დიმიტრი შაშკინი „ვერსიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის

რა მიზნით იმყოფებოდა საქართველოში რუს ექსპერტთა ჯგუფი, რა მოთხოვნა წაუყენეს მათ ხელისუფლებას და როგორ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას მიხეილ სააკაშვილი

რუსუდან შელია
557-100-768

კომპრომატების ომი თუ „თბილისური მაიდნის“ ორგანიზება — რა მეთოდით გეგმავს მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნებასა და ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო მუხტის გაღვივებას? რამდენად მოსალოდნელია ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე 7 ნოემბრის მსგავსი მოვლენების განვითარება და რას გულისხმობდა ბარაკ ობამა, როცა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბრობდა? „ვერსიას“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ესაუბრა.

— საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოურ და პატარა სახელმწიფოს, შეთქმულებების თეორიებზე საუბარი დიდი ხანია ახასიათებს. როცა საზოგადოების ნაწილი „თბილისურ მაიდანზე“ საუბრობს, სააკაშვილმა საკუთარი პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა — პოლიტიკური ამბიციები ყველამ გვერდზე უნდა გადადოს, რადგან ახლა მთავარი გამოწვევა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერაა.

— **პოლიტიკაში სააკაშვილის დაბრუნების მეორე ვერსიაც არსებობს — კომპრომატების ომით საზოგადოებაში ნეგატიური მუხტის გაზრდა და აქციების პიკზე, ექსპრეზიდენტის დაბრუნება.**

— ამ ვერსიის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ბოლო ორი წელია, ფაქტობრივად, კომპრომატების ზემოქმედების ქვეშ ვცხოვრობთ. სამწუხაროდ, დღეს არავინ საუბრობს საქართველოს მომავალსა და პრობლემებზე. სამაგიეროდ, აქტუალური გახდა კითხვა, ვინ ვისთან, როგორ და რა დროს იყო? ქართულ პოლიტიკაში უამრავი სიბინძურის კონცენტრირება მოხდა. საქართველოში კომპრომატების გავრცელების პირველი პრეცედენტი, დაახლოებით, ორი წლის წინ, ციხის კადრების გამოქვეყნებისას დაფიქსირდა. წლების განმავლობაში ამერიკულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია საარჩევნო კამპანიების მხარდაჭერა იყო, ამიტომ საზოგადოებისგან ხშირად მომისმენია ქართული საარჩევნო კამპანიის დონით უკმაყოფილება. ამ მიმართულებით, დიდხანს ერთ-ერთი მთავარი პოზიტივი ის იყო, რომ პოლიტიკოსები, ძირითადად, მომავალსა და დაპირებებზე საუბრობდნენ, კომპრომატებზე კი, აქცენტი არ კეთდებოდა. მსოფლიოში ყველაზე ბინძური საარჩევნო კამპანია რუსეთში ტარდება. გენერალური პროკურორი საუნაში ტიტველი გადაიღეს და ეს კადრები გაასაჯაროეს. სოციალურ ქსელში ხშირად ვრცელდება სხვადასხვა რუსი პოლიტიკოსის ფარული ჩანაწერები. ჩემი აზრით, გარკვეული ძალა ცდილობს, ქართული საზოგადოებაც მუდმივად სიბინძურით გამოკვებოს.

— **თქვენც რუსულ მეთოდს იყენებდით, აბა, როგორ გაჩნდა არქივებში პირადი ცხოვრების ამსახველი 30 ათასი ფაილი?**

— როცა ხელისუფლებამ განაცხადა, შს სამინისტროში 30 ათასი ფაილი ვიპოვეთო, არავის უთქვამს, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან გადაუდებელი აუცილებლობის გამო რამდენი მასალა ჩაიწერა. იმის გამო, რომ არჩევნებამდე ნაწილობრივ დადგმული, ნაწილობრივ რეალური ციხის კადრები გავრცელდა, საზოგადოებამ 30 ათასი ფაილის არსებობაც დაიჯერა... თუ ეს მასალები ნაციონალური მოძრაობის უკანონობაზე მიანიშნებს, ვანო მერაბიშვილი, რომელიც არჩევნების შემდეგ, პრემიერის თანამდებობას 20 დღე ინარჩუნებდა, მათ არ გაანადგურებდა?! არ ვამბობ, ვისზეა ეს ჩანაწერები ან რა სახის კომპრომატებია, მაგრამ თუ ნაციონალური მოძრაობა კანონს არღვევდა, ამის გამოძიება მარტივია. დროა, ხელისუფლებამ კომრპომატებზე საუბარს თავი დაანებოს და მომავალზე ილაპარაკოს... რაც შეეხება საქართველოში უკრაინის მსგავსი მოვლენების განვითარებას, უკრაინელმა ხალხმა კორუფცია, ძალადობა და სოციალური პრობლემები დიდხანს ითმინა. არავინ ელოდა, რომ ევროკავშირის თემა მაიდანზე ცეცხლის დასანთებად მნიშვნელოვანი ნაპერწკალი გახდებოდა. რთულია პროგნოზირება, რომელ ქვეყანაში რა საკითხი ააფეთქებს პროტესტს. ამას მხოლოდ მიმდინარე პროცესები აჩვენებს.

— **ქართულ პოლიტიკაში „ნაპერწკალს“ ლიდერები წარმოადგენდნენ. დღეს ვინაა ასეთი ლიდერი?**

— საქართველოში სააკაშვილის მსგავსი პოლიტიკური წონის ლიდერი არ არსებობს. ნებისმიერი კვლევა, რომელიც ახლა ტარდება, აჩვენებს, რომ პირადად სააკაშვილის ტრადიციული ელექტორატი საზოგადოების 28-30%-ია. ამ მხარდაჭერას საერთაშორისო პოზიციები და მისი პოლიტიკური გამოცდილებაც ემატება. სააკაშვილს ვერც ნაციონალურ მოძრაობაში ჩაანაცვლებს ვინმე, იგი ახალგაზრდაა და, ბუნებრივია, პოლიტიკაში დაბრუნდება. ამას თავადაც არ მალავს, ოღონდ დემოკრატიული მეთოდებით.

— **როგორია ეს დემოკრატიული მეთოდები, „ქართული ოცნების“ დაშლის იმედი აქვს თუ ოპოზიციურ ფლანგზე ახალი პროდასავლური ძალა ჩამოყალიბდება?**

— რთულია, „ქართული ოცნების“ მომავალზე ისაუბრო, კოალიციამ ჯერ ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩაატაროს. მმართველი გუნდისთვის ეს საკმაოდ მტკივნეული პროცესი იქნება. ნებისმიერი გაერთიანებისთვის სუსტი წერტილია ადგილობრივი არჩევნები და სიის დაკომპლექტება. პოლიტიკურ სპექტრში გადალაგებაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, ბუნებრივია, უამრავი X და Y ფორმულა არსებობს. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსის პირად ამბიციაზე მაღლა საქართველოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და მაპ-ის მიღებაა. მაპ-თან ისე ახლოს არასოდეს ვყოფილვართ, ვიდრე ახლა, რაც უპირველესად, უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა.

— **თუ ასეა, რას ნიშნავს ობამას განცხადება, უკრაინა და საქართველო ნატო-ში გაწევრიანების გზაზე არ დგანანო?**

— ობამას განცხადებას ინგლისურად თუ წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ მას ექსტრაორდინალური განცხადება არ გაუკეთებია. აღნიშნა, რომ საქართველო და უკრაინა, უახლოეს მომავალში ნატო-ს წევრები ვერ გახდებიან. ამ სახელმწიფოებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან რუსული საფრთხეების წინააღმდეგ. მაპ-ის მიღების უზარმაზარი შანსი გვაქვს. ამის შემდეგ გვექნება კონკრეტული გეგმა, როგორ გახდეს საქართველო ნატო-ს წევრი. სხვათა შორის, 2007 წლის მიწურულსაც იყო მაპ-ის მიღების დიდი შანსი, მაგრამ 7 ნოემბრის მოვლენებმა დღის წესრიგი შეცვალა. 7 ნოემბრის მოვლენებით, ქვეყნებს, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდათ, მივეცით კოზირი, რაც საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენეს კიდეც. ისტორიული შანსი მეორედ არ უნდა გავუშვათ.

— **7 ნოემბერთან პარალელი რატომ გაავლეთ?**

— იმიტომ, რომ მსგავსი გამოსვლები არ უნდა გახდეს საბაბი ჩვენ წინააღმდეგ. საბედნიეროდ, 2002 წლიდან მოყოლებული საქართველოში ვითარება არ იცვლება — მოსახლეობის 75% ნატო-სა და ევროკავშირის მომხრეა. არსებობს ადამიანების მცირე ჯგუფი, რომელსაც რუსეთის მიმართ ნოსტალგიური განცდა აკავშირებს. სააკაშვილის პრეზიდენტობისას რუსეთზე დადებითი საუბარი კარგ ტონად არ ითვლებოდა. სამწუხაროდ, ეს შეიცვალა და მარგინალებმა თავი ამოყვეს. მათი ნაწილი მსგავსი აქტივობისთვის ფულს იღებს, ზოგსაც ბრძოლას მონობაში ყოფნა ურჩევნია. მარტივი ვითარებაა — რუსეთი არ მალავს, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების წინააღმდეგია. ჩემი ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ, საქართველოში პუტინთან დაახლოებული რუსი ექსპერტების ჯგუფი იმყოფებოდა, რომლებმაც პირდაპირ განაცხადეს, ქართველებმა ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ უნდა მოაწეროთო.

— **ვინ არიან ეს ექსპერტები და მათთან რა დონის შეხვედრები გაიმართა?**

— ვერ გეტყვით... რუსეთიდან საკმაოდ მკაფიო მესიჯები მოდის, რა ბერკეტი აქვს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ? ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე გატანა მხოლოდ 180 მილიონს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ქართული ეკონომიკის ბედს ვერ გადაწყვეტს. რუსეთი ვერც ენერგომატარებლებით დაგვაშანტაჟებს, რადგან ამ მიმართულებით საქართველოს მთავარი პარტნიორი აზერბაიჯანია. რუსეთის ხელში არსებული ერთადერთი ბერკეტი შიდაპოლიტიკური პროცესების გამწვავება და ოკუპირებულ რაიონებში ვითარების დაძაბვაა. ვისაც ქვეყნის ბედი აღელვებს, ამ საკითხებზე უნდა იფიქროს.

— **გავრცელდა მოსაზრება, რომ დასავლეთმა ყირიმი საქართველოზე გაცვალა. ნატო-ში კი, იმ მოთხოვნის დაბლოკვის შემდეგ მიგვიღებენ, სადაც წერია, რომ ევროატლანტიკურ გაერთიანებაში ოკუპირებული ტერიტორიების მქონე სახელმწიფო ვერ გაწევრიანდება. თუ ეს შეთანხმება მართლაც დაიდო, რუსეთი დროებით მაინც არაა განეიტრალებული?**

— გეოპოლიტიკაში მსგავსი ვაჭრობა არ ხდება! შესაბამისად, არავის არაფერი გაუცვლია. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. შეცდომები არ უნდა დავუშვათ!

— **ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში, ჯავახეთში აჯანყების მუქარა უკვე გაისმა...**

— მოსალოდნელია, რომ რუსეთი ჯავახეთში ვითარების არევას შეეცდება, მაგრამ სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა ისაა, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევენ. ცუდია, რომ ჩახალიანი გარეთ იმყოფება — ეს მავნებელი ადამიანი ვითარების ასარევად ყველაფერზე წავა, მაგრამ მაინც ეთნიკურ უმცირესობებში არსებული განწყობის იმედი მაქვს. საქართველოს დღეს ისტორიული შანსი აქვს და ამ ფონზე, ნებისმიერი პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყნისთვის მავნებელია, მით უმეტეს, ეს ზედმეტი ჩარევის გარეშეც მოხდება, რადგან არჩევნები ახლოვდება. სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებაც, ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია.

— **ფიქრობთ, ეს მიზანმიმართულად გაკეთდა? დასავლელი ლიდერებიც აღნიშნავენ, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.**

— ვერ გეტყვით, ეს შეცდომაა თუ მიზანმიმართული ქმედებები... დიპლომატიაში, სათქმელი, ხშირად სტრიქონებსშუა იმალება. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოხატა და ოფიციალური განცხადება დადო. ამაზე მეტი რა უნდა გააკეთონ, ევროპარლამენტმა მიტინგი გამართოს? სააკაშვილის მისამართით გაჟღერებული კითხვები პიარბრალდებებს ჰგავს. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს პროკურატურა. ისე, ივანე მრისხანემ ზარი და კატა გაასამართლა. თუ „ივან გროზნის“ რუსეთის მსგავს ქვეყანას ვაშენებთ, თეორიულად, ყველაფერი შესაძლებელია.

ვერსიანიუსი

ჯონ კერიმ ირაკლი ღარიბაშვილს წერილი გაუგზავნა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოს პრემიერ-მინისტრს საჩუქრისთვის მადლობას უხდის და აღნიშნავს, რომ მისი სიმბოლური მნიშვნელობა გულისამაჩუყებელია.

კერი საქართველოსა და აშშ-ს პარტნიორული ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს: „ძვირფასო პრემიერ-მინისტრო! ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო თქვენთან შეხვედრა ვაშინგტონში. მოხარული ვარ, რომ მოგვეცა საზიარო ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შესაძლებლობა. იმედის თვალით შევყურებ ჩვენ ქვეყნებს შორის მჭიდრო პარტნიორობის განმტკიცებას მომდევნო თვეებსა და წლებში. მადლობას მოგახსენებთ საჩუქრისთვის, უმშვენიერესი სკულპტურისთვის. თქვენი საჩუქრის სიმბოლური მნიშვნელობა გულისამაჩუყებელია და ყოველთვის მომაგონებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მტკიცე კავშირებს“.

გია ხუხაშვილი კობა სუბელიანის დაკითხვას ითხოვს



ექსპერტის თქმით, უნდა გაირკვეს 2008 წლის ომის დროს საიდან შემოჰქონდა ყოფილ მინისტრს ფული და რა ანგარიშებიდან იხსნებოდა. ხუხაშვილი მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს იმ მონაკვეთზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც ექსპრეზიდენტი 2008 წლის აგვისტოში ხელისუფლების მაღალჩინოსნების გაქცევის თემაზე საუბრობდა: **„მან თქვა, რომ ერთი ხეთაგური იყო წასული აზერბაიჯანში და მეორე სუბელიანს „მეშოკებითა“ თუ ჩემოდნებით მოჰქონდა „ქეში“. ეს წარმოუდგენელი აღიარებითი ჩვენებაა, ვფიქრობ, პროკურატურამ სასწრაფოდ უნდა დაიბაროს და დაკითხოს სუბელიანი. სააკაშვილმა თავად აღიარა სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობა და, როგორც შემსრულებელს, სუბელიანს დაადო ხელი. მას უნდა ჰკითხონ, რა ფულზეა საუბარი, რომელი ანგარიშებიდან იხსნებოდა და საიდან მოდიოდა. ამ აღიარების შემდეგ შეიძლება გავხდეთ იმის მოწმე, სად ინახავდა „ალი ბაბა სააკაშვილი და მისი 40 ყაჩაღი“ განძს“.**

„პირველი“

გიული ალასანიას „კორუფციული რვაფეხა“ განათლების სფეროში



სახელმწიფო ბალანსზე არსებული რომელი შენობები მიითვისა სააკაშვილის ოჯახმა უკანონოდ

ᲔᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ

პროკურატურაში სააკაშვილის დაბარების პარალელურად, ხელისუფლება მისი ოჯახის ბიზნესებით დაინტერესდა. ჯერ იყო და, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლებელია, იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით, თემურ ალასანიას წინააღმდეგ აღიძრას საქმეო, რამდენიმე დღის წინ კი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გიული ალასანიას მიაკითხა, საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის პრივატიზების გამო. ამავე უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სააკაშვილის ბიძაშვილი ნიკოლოზ ალასანიაც გახლავთ. რატომ გაჩნდა კითხვისნიშნები „ალასანიების სასწავლებელთან“ დაკავშირებით და რაში ედავება ხელისუფლება ექსპრეზიდენტის ოჯახს? დეტალების გასარკვევად „ვერსია“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს დაუკავშირდა, თუმცა უწყებაში, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თემაზე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ; კომენტარს არ აკეთებს საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი მანანა სანაძეც, დეტალებს არც გიული ალასანია ასაჯაროებს, თუმცა სატელევიზიო კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც სააკაშვილის ოჯახმა პროკურატურიდან უწყება მიიღო: „გადმომცეს უწყება, რომლის მიხედვითაც ჩემს შვილს პროკურატურაში დაკითხვაზე იბარებენ. თავდაპირველად, ეს სხვა რამეს დავუკავშირე, რადგან ძალიან დაემთხვა დროში მეორე ფაქტს — ორი დღის წინ, ჩვენს უნივერსიტეტში მოვიდა ქაღალდი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ცოტა გაუგებარი შინაარსის კია ეს წერილი, მაგრამ ეს ეხება ბათუმის სკოლის შენობას, ამიტომ, როდესაც უწყება მომიტანეს, ვიფიქრე, იმ საქმეს უკავშირდებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ თავად მიშას იბარებენ“. ინფორმაციულ ვაკუუმში, გაგვახსენდა, რომ ორიოდე წლის წინ, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია სააკაშვილის ოჯახის წევრებს განათლების სისტემის მონოპოლიზებაში ამხელდა და შესაბამის დოკუმენტებსაც აფრიალებდა. „კორუფციული რვაფეხა“ — სწორედ ამ სათაურით გამართა პარლამენტში პრეზენტაცია ბაღათურიამ 2012 წლის გაზაფხულზე და მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას სწრაფი გამდიდრების სქემა გაშიფრა. დაახლოებით, 20 000 000 აშშ დოლარის ქონება, 16-მდე სასწავლო დაწესებულება, პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, მისი დედისთვის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაცემული შენობა-ნაგებობები — შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და 10 ჰა მიწის ფართობი — საქართველოს უნივერსიტეტისთვის საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად — ესაა იმ ბრალდებების ჩამონათვალი, რომლითაც ჯონდი ბაღათურიამ გიული ალასანიას წინააღმდეგ მაშინ პროკურატურას მიმართა.

„ვერსია“ ᲯᲝᲜᲓᲘ ᲑᲐᲦᲐᲗᲣᲠᲘᲐᲡ დაუკავშირდა. „ქართული დასის“ ლიდერმა პროკურატურისთვის წარდგენილი მასალებიც გადმოგვცა და ის სქემაც გაშიფრა, რომლის მიხედვითაც ექსპრეზიდენტი სახელმწიფო ქონებას ანაწილებდა.

— მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის პერიოდში თანამდებობრივ სტატუსს იყენებდა და სახელმწიფოს ბალანსზე არსებულ ქონებას მეგობარს, ოჯახის წევრს ან რომელიმე მოსასყიდ პოლიტიკოსს საჩუქრად გადასცემდა — ხალხის კუთვნილ შენობებს ერთ ლარად არიგებდა, რასაც საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის მაგალითიც მოწმობს. საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებლები გიული ალასანია და მისი ძმისშვილი, თემურ ალასანიას ვაჟი ნიკოლოზ ალასანია გახლავთ. 2010 წელს, პრეზიდენტის ბრძანებით, მათ, ბათუმში, ყოფილი სასამართლოს შენობა, სადაც ერთ დროს, საჯარო რეესტრიც იყო განთავსებული, ერთ ლარად გადაეცა. სააკაშვილის ოჯახი ელიტურ კორუფციაში დიდი ხნის წინ ვამხილე.. როგორც იქნა, დადგა ჟამი, როცა მათ მიერ ნაქურდალი ქონება ხალხსა და სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს.

— საქართველოს უნივერსიტეტში საგამოძიებო სამსახური თქვენი მასალების საფუძველზე ხომ არ შევიდა, ამ საკითხზე არ დაგკითხეს?

— არ დამკითხეს, თუმცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 2012 წლის ნოემბერში, პროკურატურაში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სრულად გადავგზავნე. მაშინ საქმე პირადად არჩილ კბილაშვილს დაეწერა. ნათესავებისთვის ერთ ლარად გადაცემული სახელმწიფო ქონება ერთ-ერთი საკითხია, რის გამოც მიხეილ სააკაშვილს პროკურატურა დაკითხვაზე იბარებს; მას ქრთამის აღებაშიც ადანაშაულებენ, რადგან საჩუქრის სახით მილიონ ასი ათასი ლარის ქონება აქვს მიღებული. შესაძლოა, პროკურატურაში ჩვენ მიერ წარდგენილ მასალებსაც გაეცნენ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გამოძიება მხოლოდ ჩვენი დოკუმენტების საფუძველზე მუშაობს. გარკვეულ ეტაპზე, ამ მიმართულებით, საგამოძიებო ჯგუფი პასიურობდა, ახლა კი, პოზიტიურ განწყობაზე დავდექი. პროკურატურის გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ. სააკაშვილი საბრალდებო სკამზე უნდა დასვან, თუ არადა, მასზე ძებნა უნდა გამოცხადდეს.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ იარაღის უკანონო ვაჭრობასთან დაკავშირებით, შესაძლოა, თემურ ალასანიას წინააღმდეგ საქმე აღიძრას. საქართველოს უნივერსიტეტში საგამოძიებო სამსახური შევიდა. ეს სააკაშვილის ოჯახის პოლიტიკური განეიტრალების მცდელობა ხომ არაა, როგორც ამას ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს?

— არ ვფიქრობ, რომ ეს რევანშია! საქართველოს უნივერსიტეტში წილს თემურ ალასანიაც ფლობს, რადგან ერთ-ერთი დამფუძნებელი მისი შვილი, ნიკა ალასანიაა და ქონება მასზეა გადაფორმებული... ვიმეორებ, სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობები სააკაშვილის ოჯახმა უკანონოდ მიითვისა და ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. ვერც სააკაშვილი და ვერც გიული ალასანია მათ ხელთ აღმოჩენილი ქონების წარმოშობის კანონიერებას ვერ ასაბუთებენ. სხვათა შორის, სააკაშვილის ინიციატივით, კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ე.წ. მტკიცების ტვირთი ჩინოვნიკებსა და მათ ოჯახის წევრებზე ვრცელდება. ის სწორედ ამ კანონით მუსრავდა არასასურველ ოპონენტებს, ახლა კი ამ ინიციატივის მსხვერპლი თავად აღმოჩნდა. სააკაშვილის ნოვატორობის შედეგია, საქართველოს მოსახლეობის 65%-მდე რომ შიმშილობს და სიღატაკის ზღვარსქვემოთაა. სააკაშვილმაც და მისი ოჯახის წევრებმაც, რომლებმაც სახელმწიფო შენობები უკანონოდ მიითვისეს, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

„ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲕᲐᲤᲔᲮᲐ“

რას ნიშნავს „კორუფციული რვაფეხა“ და კონკრეტულად, რა ტიპის მონოპოლისტობაში სდებს ბრალს ჯონდი ბაღათურია ექსპრეზიდენტის დედას?

ბაღათურიას მიერ გადმოცემული მასალებით ირკვევა, რომ გიული ალასანია საქართველოს უნივერსიტეტში, რომელიც მან დააფუძნა, 37.5%-იან წილს ფლობს, ამავე უნივერსიტეტში 37.5% ეკუთვნის მანანა სანაძეს, 12.5% ედუარდ რობერტ რაუპსა და 12.5% ნიკოლოზ ალასანიას. თავის მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტი შპს „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის“ დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, ხოლო ამ სკოლის დირექტორები გიული ალასანია და მანანა სანაძე არიან. საქართველოს უნივერსიტეტი შპს „საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლის“ 100%-იანი დამფუძნებელიცაა, რომლის დირექტორებად კვლავ გიული ალასანია და მანანა სანაძე გვევლინებიან. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯის“ 100%-იანი წილის მფლობელიც საქართველოს უნივერსიტეტია და შპს კაფე „ხადილის“ 100%-იან წილსაც სწორედ ეს უნივერსიტეტი ფლობს. კაფე „ხადილის“ დირექტორები კი გიული ალასანია და გიორგი მეტრეველი არიან. საქართველოს უნივერსიტეტი 14%-იან წილს ფლობს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დამფუძნებელი და პრორექტორი გიული ალასანიაა. ეს უნივერსიტეტი თურქული კაპიტალით დაფუძნდა, უფრო ზუსტად კი, თურქეთში ცნობილი თეოლოგისა და ისლამის მქადაგებლის, ფუთჰულაჰ გიულენის კომპანია „ჩოღლარის“ ინვესტიციით. სხვათა შორის, ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ გიული ალასანიამ ხელი შეუწყო საეჭვო წარმოშობის თურქული კაპიტალის შემოსვლას საქართველოში და რადგან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი თურქულმა კომპანია „ჩოღლარმა“ დააფუძნა, ექსპრეზიდენტის ოჯახი თურქულ სპეცსამსახურებთან კავშირშიც ამხილა.

„ჩოღლარის“ სასწავლო დაწესებულება საქართველოში მართლაც თვალშისაცემია. მათ შორისაა დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი, თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა, რუსთავის რუსთაველის სახელობის დაწყებითი სკოლა, ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი, ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი ლიცეუმი, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი, რუსთავის რუსთაველის სახელობის ლიცეუმი, მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲗᲰᲣᲚᲐᲰ �გᲘᲣᲚᲔᲜᲘ?

ფუთჰულაჰ გიულენი 1941 წლის 27 აპრილს დაიბადა თურქეთში, ერზერუმის ოლქის ხასანკალის რაიონის სოფელ ჰულლაჰ ქორუჯუქში. ყურანის შესწავლის შემდეგ, ფუთჰულაჰ გიულენი ჰაფიზი ანუ ყურანის ზეპირად მცოდნე და პროფესიონალი მკითხველი გახდა. 1964 წლიდან, გიულენი ყურანის მასწავლებლად დაინიშნა მეჩეთ დარულ ჰადისში, სადაც იმამის მოვალეობასაც ასრულებდა. სხვადასხვა დროს, თურქეთის ტერიტორიაზე, გიულენმა ჩამოაყალიბა კერძო წრეები, სადაც რელიგიურ საკითხებს ასწავლიდა. ფუთჰულაჰ გიულენი თავისი ტოლერანტობითა და ისლამურ რელიგიაში სრულიად ახალი შეხედულებებით გამოირჩევა, რაც რადიკალურად განასხვავებს მას ფუნდამენტალისტებისგან. გიულენმა არაერთი ნაშრომი დაწერა, სადაც აღნიშნა, რომ ისლამური რელიგია ტერორისტობასა და რადიკალიზმს არ ნიშნავს. ამ ტიპის შეხედულებების გამო, გიულენი მთელ მსოფლიოში აღიარებული ინტელექტუალი და მოაზროვნეა, რომელიც სხვადასხვა დროს დიდი პატივით მიიღო როგორც რომის პაპმა, ასევე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა, ბუდისტებმა და ებრაელთა კავშირმაც კი.

ფუთჰულაჰ გიულენი თურქეთში აღიარებული თეოლოგი, მოაზროვნე და მწერალია. მისი ძალისხმევით გაიხსნა სასწავლებლები, რომლებმაც მსოფლიო სამეცნიერო ოლიმპიადებზე წარმატებები მოიპოვეს. თურქმა ბიზნესმენებმა ეს სასწავლებლები სანიმუშოდ მიიჩნიეს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებები გახსნეს. განათლების სფეროში დამსახურების გამო, ფუთჰულაჰ გიულენი უდიდეს პიროვნებად ითვლება არა მარტო თურქეთში, არამედ — მთელ მსოფლიოში. მეტიც, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან, ბართოლომეოსთან შეხვედრის შემდეგ, 2000 წელს, გიულენმა ერთ-ერთ ნაშრომში აღნიშნა, რომ მუსულმანებმა და ქრისტიანებმა ერთად და მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ. გიულენის სიტყვებია ისიც, რომ ქრისტეშობიდან 2 000 წელი მუსულმანებისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ქრისტიანებისთვის, რადგან იესო ქრისტე ყურანში მოხსენიებულია, როგორც ისა წინასწარმეტყველი.

2001 წელს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა სტატია ფუთჰულაჰ გიულენის მოღვაწეობის შესახებ. ავტორი თურქეთის მწერალთა და ჟურნალისტთა ფონდის საპატიო თავმჯდომარესთან, ფუთჰულაჰ გიულენთან შეხვედრის დეტალებს იხსენებს, რომელიც 1998 წელს, სტამბოლში შედგა. აი, რას ამბობდა გიულენი საქართველოზე ჯერ კიდევ 1998 წლის ზაფხულში: **„მე და ჩემი მეგობრები, ყოველთვის მომხრე ვიყავით საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისა. თუკი ფათიჰის უნივერსიტეტში ჩინურ, იაპონურ ან ესპანურ ენებს ასწავლიან, რატომ არ უნდა ესწავლებინათ ქართულიც ანუ ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენა? ამიტომაც გავხსენით ფათიჰის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ფაკულტეტი, მაგრამ ასეთი ფაკულტეტები თურქეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც უნდა გაიხსნას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს. კარგია, რომ საქართველოში არის თურქული სკოლები, რადგან დადგა დრო, თურქეთმა და საქართველომ კეთილგანწყობილად ვიცხოვროთ“.**

ამ ფონზე, ბევრი, უსაფუძვლოდ მიიჩნევს, საზოგადოების ნაწილში დამკვირდებულ აზრს, რომ აღნიშნულ სასწავლებლებში მართლმადიდებელი, ტრადიციული ოჯახისშვილების, ქართველების გადაგვარების საშიშროებაა. თუმცა, გამოძიების მთავარი საფიქრალი ახლა სხვა თემაა — უახლოეს მომავალში გაირკვევა, რამდენად კანონიერად ჩაიგდო ხელში ექსპრეზიდენტის ოჯახმა სხვადასხვა შენობა და შესაბამისად, ისიც გადაწყდება, ჩამოართმევენ თუ არა სააკაშვილ-ალასანიებს კონკრეტულად, ამ ქონებას.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პური და სხვა პროდუქტი ძვირდება?!

საქართველოს ბაზარზე, ბუნებრივი აირის ერთადერთმა დისტრიბუტორმა კომპანია „სოკარმა“, ქართველ მწარმოებლებს გაზი 10%-ით გაუძვირა. „სოკარის“ ამ გადაწყვეტილების გამო, ექსპერტები შიშობენ, რომ პროდუქტი, პირველ რიგში კი, პური გაძვირდება. პურის საცხობები ძირითადად ბუნებრივ აირზე მუშაობენ და 10%-ით გაძვირებული გაზი პურის ფასზეც აისახება. ჯაჭვური რეაქციით კი ამგვარი ტენდენცია სხვა პროდუქტსაც გააძვირებს, რადგან ფასთწარმოქმნის საერთო სისტემაში, ბუნებრივი აირი ერთ-ერთი კომპონენტია.

ეკონომიკის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გაძვირებული გაზის გამო, პურის ფასის ზრდა ქვეყნის ყველაზე შეჭირვებულ სოციალურ ფენას მძიმე ტვირთად დააწვება. რატომ მიიღო „სოკარმა“ ასეთი გადაწყვეტილება? ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარს“, პურის საცხობებზე ზემოქმედების სხვა ბერკეტებიც ჰქონია. საქართველოში არსებული 6 მსხვილი წისქვილკომბინატიდან, 5-ს აზერბაიჯანული ბიზნესჯგუფები მართავენ და ამიტომ აზერბაიჯანული ბიზნესის ქსელი პურის ფქვილის საბითუმო ბაზარზეც მონოპოლისტია. მართალია, პურის წარმოების ბაზარზე აზერბაიჯანული ინტერესები არ ჩანს, მაგრამ „სოკარს“ ეს ბიზნესიც მარწუხებში აქვს. ეკონომიკის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ნაციონალ მაღალჩინოსნებს ჯერ კიდევ აქვთ კავშირი „სოკართან“. აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ილჰამ ალიევთან შეთანხმების შედეგად, ამ კომპანიის ქართული ბიზნესიდან გარკვეული წილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვასთან მიდის. ჯ

საზოგადოებისთვის უცნობია იმ ხელშეკრულების დეტალები, რომელიც აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაფორმდა და, რომლითაც „სოკარი“ ქართულ ბაზარზე მონოპოლისტია. ენერგეტიკოსების გათვლით, „სოკარი“ სათავო ოფისიდან გაზს 185 აშშ დოლარად ყიდულობს და საქართველოში 345 აშშ დოლარად ჰყიდის. საწარმოო მოხმარებაში, 1 კუბ/მეტრი გაზის ფასი, ტრანსპორტირებისა და გადასახადების ჩათვლით, 0.85 ლარია. რაც შეეხება გაზის საყოფაცხოვრებო ტარიფს (0.45 ლარი), მას საქართველოს მთავრობა საგადასახადო შეღავათებითა და იმ პრეფერენციებით აბალანსებს, რასაც საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს. შესაბამისად, ექსპერტები აცხადებენ, რომ აზერბაიჯანული „სოკარი“ არაფერს თმობს და ამ სეგმენტშიც ზემოგებაზე მუშაობს.

„ვერსია“ კომპანია „სოკარის“ კორპორატიული და ბიზნეს-

რატომ გაზარდა ბუნებრივი აირის ფასი „სოკარმა“ 10%-ით

კომუნიკაციების განყოფილების უფროსს, **ირაკლი ზუბიტაშვილს დაუკავშირდა.**

— ბატონო ირაკლი, რატომ გაუძვირა „სოკარმა“ კერძო მეწარმეებს გაზის გადასახადი 10%-ით?

— კითხვა არაკორექტულია — „სოკარს“ კომერციული გაზი ყველა აბონენტისთვის არ გაუძვირებია. ფასი რამდენიმე კონკრეტული აბონენტისთვის გავზარდეთ, რომლებიც აქამდე გაზს საკმაოდ იაფად იღებდნენ. ამ გადაწყვეტილებით, ყველა კომერციულ მეწარმეს თანაბარ პირობებში ვაყენებთ.

— ექსპერტების ინფორმაციით, „სოკარი“ საქართველოს ბაზარზე მონოპოლისტის მდგომარეობით სარგებლობს, ასეა?

— რა არის „სოკარის“ მონოპოლიური მდგომარეობის მიზეზი, თუკი ასეთი რამ მართლაც არსებობს? — გაზის მიწოდების სფეროში საქართველოს ბაზარი თავისუფალია. შეგიძლიათ იყიდოთ რუსული გაზი, ან შემოიტანოთ ყატარიდან, ნიგერიიდან, ნორვეგიიდანაც... თუ იმაზე დაბალ ფასად შემოიტანთ ბუნებრივ აირს, ვიდრე „სოკარს“ შემოაქვს, მონოპოლიური მდგომარეობა გაქრება. ვიდრე ყველაზე იაფი გაზი საქართველოს ბაზარზე მხოლოდ „სოკარს“ შემოაქვს, შენარჩუნდება მონოპოლია. შიდაბაზარზე, გაზის კომერციული, სამომხმარებლო და სოციალური ფასები გაცილებით დაბალია, ვიდრე ბუნებრივი აირის იმპორტიორ სხვა ქვეყნებში. ამჟამად „გაზპრომმა“ ევროკავშირის ქვეყნებისთვის, 1 000 კუბ.მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 380 აშშ დოლარამდე დაწია, მაგრამ ამ ფასში ტრანსპორტირებისა და სხვა გადასახადის ხარჯი არ შედის. რაც შეეხება საქართველოს, კომერციულ სტრუქტურებს ამ ფასად გაზის შეძენა შეუძლიათ, მაგრამ მასში ტრანსპორტირების, მიწოდებისა და ყველა გადასახადის ხარჯი უკვე შედის.

— ექსპერტების თქმით, „სოკარი“ ნავთობპროდუქტის ბაზარზე, სხვა მიმართულებითაც ცდილობს მონოპოლიის შენარჩუნებას. საქართველოში მოქმედი წისქვილკომბინატების მფლობელები აზერბაიჯანული ბიზნესჯგუფები არიან და არ არის გამორიცხული, გაზის გაძვირება, სწორედ მათი ერთობლივი ინტერესი იყოს...

— უახლოეს მომავალში, „სოკარი“ არ გეგმავს გაზის გაძვირებას მთლიანობაში, მათ შორის, არც მეპურეებისა და არც სხვა კომერციული სტრუქტურებისთვის. თუ მეპურეები ბუნებრივ აირში იმდენს იხდიან, რაც ზოგადად, კომერციული ფასია, მათთვის ტარიფი არ შეიცვლება. სხვა მხრივ, გაუგებარია, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ წვრილ წისქვილკომბინატებს? თუ პური გაძვირდება, მისი გაყიდვებიც შემცირდება და წისქვილკომბინატები წაგებაზე წავლენ.ჯ

— „სოკარი“ ბუნებრივ აირს მოსახლეობასაც ხომ არ გაუძვირებს?

— საქართველოში ორი ტიპის სოციალური ტარიფი მოქმედებს: რეგულირებული — აბონენტებისთვის, რომლებიც ბუნებრივი აირის ქსელში 2008 წლის 1 აგვისტომდე ჩაერთვნენ და დერეგულირებული — ყველა დანარჩენი აბონენტისთვის. დერეგულირებული ტარიფის გაზრდას არ ვაპირებთ. რეგულირებულ ტარიფს კი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი) ადგენს.

— კონკრეტულად რაში გამოიხატება ნაციონალური მოძრაობის ინტერესები „სოკარში“, რაზედაც უკვე დიდი ხანია საუბრობენ?

— საქართველოში „სოკარი“ კომერციული ორგანიზაციაა და არა პოლიტიკური. ჩვენს საქმიანობაში არცერთი პოლიტიკური მოძრაობის ინტერესი არ იკვეთება. ჩვენი კომპანიის ძირითადი ამოცანა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ვინ არიან ხუდონჰესის ინვესტორები?

ხუდონჰესი — გამოვიყენოთ წყლის ენერგია უკეთესი მომავლისთვის!

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, ხუდონჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ ინვესტორები — მოჰუნდერ ვერმა და ბუპენდრა კანსაგრა მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ, საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რატომ დაინტერესდნენ ხუდონჰესის პროექტის განხორციელებით. მათი თქმით, ჰიდროენერგია ყველაზე სუფთა, ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგიის წყაროა, რომელიც იდეალურ განახლებად საწვავადაა მიჩნეული.

საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხუდონჰესის პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო და საექსპლუატაციო სამუშაოებს კომპანია „ტრანს ელექტრიკა ჯორჯია“ შეასრულებს, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია. „ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ 100%-იანი წილის მფლობელია „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედი“. „ტრანს ელექტრიკაში“ გაერთიანებული მსოფლიოში ცნობილი კომპანია „კონტინენტალ კონსტრაქშენი“, რომელსაც 50 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. „კონტინენტალ კონსტრაქშენს“ აშენებული აქვს ინდოეთში 1 500 მეგავატი სიმძლავრის ნატპა ჯაჰრის, ჩამერას, მანერი ბჰალისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურები.

რაც შეეხება ინვესტორებს, ბუპენდრა კანსაგრა ცნობილი ინდური ოჯახის კანსაგრების შთამომავალია, რომელიც რამდენიმე საერთაშორისო კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრია. მათ შორის, AGM-ის ქიმიური წარმოების, სამეფო ჰოლდინგ „სპაის ჯეტის“, უძრავი ქონების კომპანია „ბიშოპვუდის“. ოჯახი კენიაში ნავთობის საბადოების მფლობელია. ბუპენდრა კანსაგრას სახელი უკავშირდება საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ჰოლდინგებს, მებაღეობას, მინერალური წიაღისეულის გადამუშავებას, სასტუმროების ბიზნესს და უძრავ ქონებას. კანსაგრას ოჯახს ბიზნესი აქვს დიდ ბრიტანეთში, კენიაში, ტანზანიაში, მოზამბიკში, სუდანში, ნიგერიასა და ინდოეთში. ნიგერიაში, შავი ზღვის შელფში არსებულ ნავთობის ბლოკებზე, სხვადასხვა დროს, ბუპენდრა კანსაგრას პარტნიორები იყვნენ „შევრონი“ და „ტეკსაკო“.

მოჰინდერ ვერმა „კონტინენტალ კონტრაქშენის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია. პროფესიონალმა ინჟინერ-მშენებელმა, განათლება აშშ-ში მიიღო. „კონტინენტალ კონტსტრაქშენის“ საქმიანობის ძირითადი სფეროებია ჰიდროენერგეტიკა, ირიგაცია და საზღვაო მშენებლობები. ამ კომპანიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აშენებული აქვს ჰიდროელექტროსადგურები და წყლის ირიგაციული სისტემები. „კონტინენტალ კონსტრაქშენის“ სახელს უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრება, მათ შორის, ბეტონის ჩასხმის უახლესი მეთოდოლოგია, საზღვაო მშენებლობების კონტროლი და მათი ხარისხობრივი შემოწმება.

„ჩვენი გუნდის წევრები მაღალი დონის პროფესიონალიზმითა და ჰიდროენერგეტიკული პროექტების მშენებლობის 50-წლიანი გამოცდილებით გამოირჩევიან, როგორც ინდოეთში, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხუდონჰესის 702 მეგავატიანი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ჩვენი პირველი პროექტია, რომელსაც „კონტინენტალ კონსტრაქშენი“ კავკასიაში ახორციელებს. საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში, ხუდონჰესის პროექტი უდიდესი კერძო კაპიტალდაბანდებაა, რომლის ჯამური ინვესტიციის ოდენობა 1 200 000 000 აშშ დოლარია“, — აღნიშნა მოჰინდერ ვერმამ.

„ტრანს ელექტრიკა ჯორჯიას“ საქართველოში წარმომადგენლის, დავით მირცხულავას თქმით კი, ინდოეთი მთელ მსოფლიოში ჰიდროელექტროსადგურების ყველაზე დიდი მშენებელი ქვეყანაა. სწორედ ამის გამო აშენებს ხუდონჰესს დიდი გამოცდილების მქონე ინდური კომპანია „ტრანს ელექტრიკა“. ბუპენდრა კანსაგრას თქმით, ნებისმიერ პროექტში ისინი მსოფლიოში ცნობილ და დიდი გამოცდილების მქონე ინვესტორებს იწვევენ. ასე შემოუერთდა „ტრანს ელექტრიკას“ მოჰინდერ ვერმა და მისი კომპანია „კონტინენტალ კონსტრაქშენი“.

„ვერსიის“ კითხვაზე, იციან თუ არა ინვესტორებმა ხაიშელების პრობლემის შესახებ, რომლებიც ხუდონჰესის პროექტის მშენებლობას აპროტესტებენ და არიან თუ არა ჩართულები უშუალოდ მოლაპარაკებებში ადგილობრივ მოსახლეობათან, მოჰინდერ ვერმამ უპასუხა: **„ამ პრობლემების შესახებ ვიცით. ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციას ხაიშთან ახლოს მდებარე ჩვენი ოფისის საშუალებით ვაწარმოებთ. ჩვენთვის გასაგებია, მათი წუხილის საფუძველი და ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მათთან დისკუსიას, რათა ყველა მხარისთვის მისაღები გამოსავალი მოვნახოთ. ხუდონჰესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მთავრობის წევრებთანაც განვიხილათ“.**

ხუდონჰესი მდინარე ენგურის ზედა ნაწილში, სვანეთში, კერძოდ მესტიის რაიონის დაბა ხაიშში, თბილისიდან 400 კილომეტრის დაშორებით აშენდება. იგი ენგურჰესის შემდეგ, საქართველოში სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგური იქნება. რაც შეეხება პროექტის ტექნიკურ დეტალებს, ხუდონჰესი 702 მეგავატიანი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური იქნება, 200-მეტრიანი ბეტონის თაღოვანი კაშხლით. ხუდონჰესი წლიურად 1 500 000 000 კვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, პროექტის ღირებულება კი 1 200 000 000 აშშ დოლარია. ამ პროექტის გეოლოგიური, გეოფიზიკური, სეისმური და სხვა ტექნიკური სახის კვლევები შვეიცარულმა კომპანია „შტუკემ“ შეასრულა, საერთაშორისო ობიექტებისთვის მაღლივი კაშხლების საერთაშორისო კომიტეტისა და ამერიკის სამხედრო ინჟინერთა კორპუსის მოთხოვნების, მოცულობებისა და ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად. ხუდონჰესის პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფას. ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში, ენგურჰესის კასკადს შესაძლებლობა მიეცემა, დამატებით 300 000 000-დან 400 000 000 კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშაოს. ხუდონჰესის ინტენსიური მშენებლობის პერიოდში, 6 წლის განმავლობაში, დაახლოებით 4 000-მდე ადამიანი დასაქმდება, პროექტის ექსპლუატაციის პერიოდში კი 250 ადამიანი. დასაქმებისას, უპირატესობა ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭება.

მაია მიშელაძე

ნაციონალები „პროვოკაციულ გაზაფხულს“ გეგმავენ

17 მაისს ღგბტ აქცია აღარ ჩაფარდება — ვის გამოიყენებენ სააკაშვილის მხარდამჭერები „თბილისური მაიდნის“ მოსაწყობად

რუსუდან შელია
557-100-768

შარშანდელი 17 მაისის შემდეგ საზოგადოებაში ისტერიაა, რომ 2014 წლის 17 მაისი უფრო დაძაბული იქნება და პოლიტიკოსები სექსუალურ უმცირესობებს საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებენ. „ვერსიამ“ რამდენიმე დღის წინ ინფორმაცია მოიპოვა, რომ ნაციონალების მიერ დაანონსებული „თბილისური მაიდანის“ დასაწყისი, სწორედ 17 მაისი იქნებოდა; ითქვა ისიც, რომ სააკაშვილის მომხრეები თბილისში ევროპელი ჰომოსექსუალების ჩამოყვანასა და ლგბტ აქციაზე პროვოკაციების მოწყობასაც გეგმავდნენ. „ვერსიასთან“ საუბრისას, ექსპერტმა მამუკა არეშიძემ დაადასტურა, რომ ნაციონალებს მსგავსი რამ მართლაც ჰქონდათ ჩაფიქრებული. სამოქალაქო მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია კორკოტაშვილმა თქვა, ჩხუბიც რომ დაგვჭირდეს, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს ქაშუეთის ეკლესიასთან ჩავლის საშუალებას არ მივცემთ და, თუ შარშან, მათი მსვლელობის ჩაშლა სასულიერო პირებს დაბრალდა, წელს მთელი სამოქალაქო სექტორი დადგება ფეხზეო. „ვერსიის“ ინფორმაციით, ლგბტ აქციის წინააღმდეგ გალაშქრებას „მხედრიონიც“ გეგმავდა, თუმცა პოლკოვნიკმა დოდო გუგეშაშვილმა გვითხრა — ამის სურვილი არ გვაქვს, უბრალოდ, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მხარეს დავდგებითო. ყველა განცხადება, რომელიც მოახლოებულ 17 მაისთან დაკავშირებით საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მიერ გაკეთდა, ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლეოდა — 17 მაისის შემდეგ, პოლიტიკური პროცესი, შეიძლება უმართავი გამხდარიყო. თუმცა, 26 მარტს, „იდენტობამ“ გაავრცელა განცხადება და 17 მაისის ისტერიას წერტილი დაუსვა — ორგანიზაციის ხელმძღვანელის, **ირაკლი ვაჭარაძის** თქმით, „იდენტობა“ 2014 წლის 17 მაისს საჯარო ღონისძიების ორგანიზებაზე უარს ამბობს: **„ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე მიზეზი აქვს, მთავარი კი ისაა — თუ 17 მაისი ხდება პოლიტიკური შოუ, გასართობი უსაქმურთათვის და თავშესაქცევი ყოველი ზნის ადამიანისთვის, მოსეირეთა გასართობად და პოლიტიკური ქულების დასაწერად, ვერავის დავეხმარებით“.**

„იდენტობამ“, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ თავს პოლიტიკური მიზნებისთვის, მით უმეტეს, პროვოკაციების მოწყობისა და დესტაბილიზაციისთვის არავის გამოაყენებინებს. იპოვიან თუ არა ნაციონალები სხვა ორგანიზაციას „სისხლიანი 17 მაისის მოსაწყობად“, დრო გვიჩვენებს. უცნობია, გეგმავს თუ არა რომელიმე ორგანიზაცია ამ დღის „აღნიშვნას“. თუმცა, ლგბტ საზოგადოება და მათი აქცია ნაცმოძრაობისთვის „თბილისური მაიდნის“ მოწყობის ერთადერთი „იარაღი“ არ არის. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი ინფორმატორის მტკიცებით, **„უახლოეს დღეებში, კომპრომატი დაიდება — პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოში, დათა ახალაია იქნება მთავარ როლში. ვიდეოს გავრცელების შემდეგ, ნაციონალები იტყვიან, რომ ხელისუფლებამ დაარღვია შეთანხმება, რომლის მიხედვით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები არ უნდა გავრცელებულიყო და ინტერნეტსივრცეს „ქართული ოცნების“ ლიდერთა ვიდეოები წალეკავს“**. აპრილ-მაისში, კომპრომატების ომი, ნაციონალების საპროტესტო აქციების საფუძველი გახდება.

„პროვოკაციულ გაზაფხულსა“ და „თბილისურ მაიდანს“ აანონსებს მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი **ირმა ინაშვილიც**. მისი თქმით, ნაციონალების ამ გეგმის შესახებ დეტალურ ინფორმაციას თავად პროექტის მონაწილისგან იღებს. უკრაინული პროტესტის ორგანიზატორებმა კი, მისი ინფორმაციით, ქვეყნის საზღვარი უკვე გადმოკვეთეს, რათა ნაციონალების მხარდამჭერები მასშტაბური პროვოკაციებისთვის მოამზადონ: **„საქართველოში ევრომაიდნის მოსაწყობად, ნაციონალურმა მოძრაობამ სხვადასხვა ჯგუფების მომზადება უკვე დაიწყო. სტუდენტებს ინტენსიურ ტრენინგებს უტარებენ. დარბაზებში სპორტსმენებს ამზადებენ. იქმნება ცალკე ჯგუფებიც, რომლებიც ქართული დროშებითა და პატრიოტული ლოზუნგებით რადიკალურ ფრთას დაიკავებენ. ისინი ტრენინგს მეაიდნის ორგანიზატორებთან გაივლიან“.**

ევრომაიდნის მასშტაბურ აფეთქებამდე, იანუკოვიჩის მთავრობა პოლიტიკურ კრიზისში იყო. საქართველოს ხელისუფლების მიმართ ამ ეტაპზე, მსგავსი ნეგატიური მუხტი მომწიფებული არ არის. ინაშვილის მტკიცებით, პროვოკაციული გამოსვლები სხვადასხვა თემის სპეკულირებით იგეგმება: **„ეს თემებია ნატო, ევროკავშირი... შეეცდებიან, ამტკიცონ, თითქოს ხელისუფლებას პუტინი მართავს და საქართველო რუსეთისგან მათ უნდა დაიცვან. არაფერი გამოუვათ! მალე, ყველა დოკუმენტსა თუ მასალას გავასაჯაროებ და იმედია, ხელისუფლება რეაგირებას მოახდენს — საქმე ქვეყანაში სერიოზული დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობას ეხება. გეგმაში მედიის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ — ათობით ვებგვერდს აფინანსებენ. შექმნილია 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაც“.**

სამოქალაქო კონფონტაციას დაუკავშირა და მასობრივი საპროტესტო აქციები დააანონსა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა **აკაკი მინაშვილმა** მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში დაიბარეს. რუსულ საფრთხეებზე, უკრაინული სცენარის საქართველოში გამეორებაზე ექსპრეზიდენტმაც ისაუბრა, თუმცა იგი ნაციონალების ხელისუფლებაში დემოკრატიული გზით დაბრუნებას აანონსებს. ზოგადად, ნაციონალების პათოსი ასეთია: **„ივანიშვილის ბინძური ჩანაფიქრი სამოქალაქო კონფრონტაციის გამოწვევაა, რაც ჩვენი ქვეყნის რუსულ ორბიტაზე დაბრუნებას გულისხმობს. მასობრივი საპროტესტო აქციებისთვის ვემზადებით, სადაც თავგასულ მთავრობას ხალხის ძალას დავანახებთ და ამ გეგმას არ განვახორციელებინებთ“.**

ვის გულისხმობენ ნაციონალები „ხალხის ძალაში“ და რამდენად მასშტაბური იქნება მათ მიერ დაანონსებული აქციები, ჯერჯერობით უცნობია. ექსპერტი **მამუკა არეშიძე** მიიჩნევს, რომ ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, ნაციონალები ყველაფერს გააკეთებენ, თუმცა უკრაინული სცენარის საქართველოში გამეორებას, არ ელოდება: **„სააკაშვილი ამერიკული პროექტია და მისი დაკნინება დასავლეთში არ აწყობთ. თან, არც ისე დიდი ხნის წინ, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილდტის წინააღმდეგ, შვედურმა პრესამ სერიოზული სკანდალი ააგორა. ითქვა, რომ კარლ ბილდტის წინასაარჩევნო კამპანია საქართველოდან ფინანსდებოდა; ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მეთიუ ბრაიზას ქორწილის ორგანიზებაში საქართველოს მაშინდელი მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ... არ გამოვრიცხავ, დასავლეთმა სააკაშვილს გარკვეული პოლიტიკური გარანტიები მისცა, რომელიც შესაძლოა, ივანიშვილთანაც იყო შეთანხმებული. დღეს ქვეყნის პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილია, რომელსაც, ამ თვალსაზრისით, დასავლეთთან ვალდებულებები არ აქვს. რაც შეეხება უკრაინის მოვლენების საქართველოში განვითარების შესაძლებლობას, ნონსენსია. ნაციონალები პროვოკაციული აქციების ჩასატარებლად კი ემზადებიან, მაგრამ ხელისუფლება, მომზადებული უნდა შეხვდეს“.**

სხვისი შვილები და... სახურავის ბინადარი სანდრა

გიორგი იაშვილი

1958 წელს ქართველმა მაყურებელმა თენგიზ აბულაძის ფილმი, „სხვისი შვილები“ იხილა. შესაძლოა, ამ ფილმიდან ყველა ფრაზა ვერ გავიხსენოთ, მაგრამ უკვდავი — „დეიდა ნატო, დეიდა ნატო“, მუდმივად ჩაგვესმის. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ მთელი ერი „სხვისი შვილები“ ვიქნებოდით და ყველა ერთად (რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით) დავიწყებდით ძახილს, „დეიდა ნატო, დეიდა ნატო“... თუმცა აბულაძის ფილმს კეთილი ფინალი აქვს, „დეიდა ნატო“ სხვის შვილებს არ წირავს და მათ მზრუნველ კალთას აფარებს, ჩვენ კი...

უკვე დაცინვაც აღარ ჰქვია, რაც ჩვენს თავს ხდება. ჯერ ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ნატო-ში მიგვიღებენ, ამ საქმეს მხოლოდ ჩემი ავტორიტეტი ეყოფაო, მაგრამ „მაკდონალდსის“ რესტორნის გახსნის უფლება ძლივს მივიღეთ. მერე, ნაციონალურმა მოძრაობამ პირდაპირ ვერ გვითხრა, ნატო შორეული პერსპექტივაო, მაგრამ ახალი რამ მოიფიქრა — მაპ-ი. კარგად არც არავის აუხსნია, რა არის მაპ-ი (ამბობენ, სამოქმედო გეგმის ნაწილიაო), მაგრამ მის მოსაპოვებლად დავიწყეთ ბრძოლა. სანამ მაპ-ის ძიებაში გმირულად დავეცემოდით, ისიც გავიგეთ, რომ თურმე რამდენიმე ქვეყანას ეს საოცნებო მაპ-ი აგერ უკვე 15 წელია აქვს და ვერაფერში იყენებს, ხან თაროზე შემოდებენ, ხან ლოგინქვეშ და პრინციპში, მათია და რასაც უნდა, იმას უზამენ. რა თქმა უნდა, მაპ-ი არ გვეღირსა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ხომ არ აღიარებდა, არ მოგვცესო და ის, რაც მოგვცეს, მაპ-ზე უკეთესად მოინათლა. ჩვენც მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ მაპ-ზე უკეთესს ისე ვუფრთხილდებოდით, ნატო-ს წევრებსაც კი გაუკვირდათ, მართლა მაპ-ზე უკეთესი ხომ არ მივეციოთ.

ბედის ბორბალი კიდევ ერთხელ დატრიალდა და ხელისუფლება ისევ შეიცვალა. ძველისგან ახალს მაპ-ზე უკეთესი და მარადიული მოლოდინი დარჩა. მას შემდეგ კი, რაც უკრაინაში ყველასთვის ცნობილი მოვლენები განვითარდა, გაჩნდა იმედი, რომ ნატო ჩვენთვის მაპ-ს გაიმეტებდა. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რას გვეტყოდნენ ხელისუფალნი ამ შემთხვევაში, რადგან მაპ-ზე უკეთესი რეალურად ხელში გვიჭირავს და ახლა მაპ-ი უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ მაინც. რუსეთმა კი ასე არ უნდაო და უკრაინას ყირიმი ფუკასავით ააცალა. უკრაინის „გმირი მთავრობა“ რუსეთს ეაჯება, ყირიმიდან ჯარებს გავიყვან, ოღონდ აღჭურვილობის გატანის უფლებაც მოგვეციო. დაახლოებით იმას ჰგავს, 2008 წლის აგვისტოში რუსებმა ქართული კატარღების ჩაძირვა რომ დაიწყეს და ვეხვეწებოდით, ნაპირთან ახლოს ჩაძირეთ, რომ ამოვიღოთ და ჯართში ჩავაბაროთო.

ამ ყველაფერს გვირგვინი ბრიუსელში ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ დაადგა: **„რუსეთის წარმომადგენლებმა, პირად საუბარში მითხრეს, უკრაინის ნატო-ს პოტენციური წევრობა, მათი შეშფოთების ერთ-ერთი მიზეზია. არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატო-ში გაწევრიანების გზაზე. არ არსებობს ახლა ნატო-ს გაფართოების გეგმა“.**

რა გამოდის? ჯერ შევარდნაძე გვატყუებდა, მერე სააკაშვილი, ახლა კი ღარიბაშვილი?! არა, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯერ შევარდნაძეს ატყუებდნენ, მერე სააკაშვილს და ახლა ღარიბაშვილს. ამ უკანასკნელს ცოტა ხანს მოუწია ტყუილში ცხოვრება, მალე დაანახეს, რომ ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა იმ 100 საავადმყოფოს აშენებას ჰგავს, ნაციონალები რომ გვპირდებოდნენ.

რეალობა იმდენად მწარეა, გულში მჯიღის ცემის გარდა არაფერი დაგვრჩენია. ვერ ვეტყვით ალიანსის წევრებს, რატომ მოგვატყუეთო. ვერც იმას ვიტყვით, დღეს-ხვალ ნატო-ს კარი გაიღებაო და ვართ ასე ჰაერში გამოკიდებულები. ეს განცხადება რუსეთის წისქვილზე წყლის ნიაღვარს რომ ასხამს, ჩვენზე უკეთ ვლადიმერ პუტინმა იცის და თუ ალმაცერად დახედავს საქართველოს რუკას, ვინ იცის, რას მოიფიქრებს. წინააღმდეგობას კი გავწევთ, მაგრამ ისევ უკრაინის მაგალითზე დასტურდება, რომ რუსეთს ჩვენი გულისთვის არავინ მოიმდურებს და ის დაანონსებული იზოლაცია, ევროპა და ამერიკა ერთად რომ იმუქრებიან, ჩრდილოელ მეზობელს აშკარად არ ადარდებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რესურსი აქვს და მეორეც — ნახევარ წელში ისევ აცივდება და რუსული გაზის სითბოს მიჩვეული ევროპელები ისევ რუსეთისკენ გაიწევენ. პრინციპში, რაღა ზამთარი, აგერ ჩეხეთის პარლამენტმა რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე უარი თქვა, პოლონეთი ფიქრობს, საფრანგეთის პოზიცია ჯერ უცნობია, გერმანიაც ორჭოფობს და ჯონ ქერის მიერ ირაკლი ღარიბაშვილისთვის გამოგზავნილი მადლობის წერილი ამ ყველაფრის ფონზე ფარატინა ქაღალდად მოჩანს.

რაც შეეხება კარლსონს, შვედმა მწერალმა ასტრიდ ლინდგრენმა თავის დროზე საოცარი ნაწარმოები, „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ დაწერა. ეს ნაწარმოები კი მას შემდეგ გამახსენდა, რაც ჩვენმა პრეზიდენტყოფილმა დაიჩივლა, ფული რომ მეშოვა, ახლა სანდრა ლონდონში „ჩერდაკზე“ არ იცხოვრებდაო. იმის გათვალისწინებით, რომ ქალბატონ სანდრას პატარა ნიკოლოზი სულ თან დაჰყავს, კარლსონისა და ბიჭუნას როლები შეივსო. რაც შეეხება მიშას, ის ხომ მთელი 9 წლის განმავლობაში საოცარ ზღაპრებს გვიყვებოდა და ასტრიდ ლინდგრენი იყოს. ამას შვედი მოსახლეობა თუ წაიკითხავს, ეგებ საპროტესტო ნოტაც გვაახლოს, ჩვენს გამოჩენილ მწერალს სააკაშვილი რატომ შეადარეო, მაგრამ არა უშავს, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი მიშას კბილებით იცავს და როგორმე ამ საქმესაც მოუგვარებს.

P.S. მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები“ ასე მთავრდება — ატირებული ბავშვები მატარებელს მისდევენ და ბოლო ხმაზე ყვირიან, დეიდა ნატო, დეიდა ნატო... დეიდა ნატოს გული აუჩუყდება და მატარებლიდან ხტება... ახლანდელი მატარებელიც სრული სვლით მიდის. ისე ჩანს, იქედან ჩვენი გულისთვის გადმოხტომას არავინ აპირებს და კარგა ხანს ხელსაც არავინ გამოგვიწვდის. სადამდე შევძლებთ ლიანდაგებზე უსაფრთხოდ სირბილს, ვერ გეტყვით.

„m² უძრავმა ქონებამ“ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტი წარადგინა

დეველოპერულმა კომპანიამ 126-ე საჯარო სკოლაში გაარემონტა და ავეჯით აღჭურვა კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სპორტული მოედანი

დეველოპერული კომპანია „m² უძრავი ქონება“ მხოლოდ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობით არ შემოიფარგლება. კომპანიის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია გააცნეს და მის ფარგლებში უკვე განხორციელებული პირველი პროექტის პრეზენტაციაც გამართეს. სანამ უშუალოდ ამ პროექტის შესახებ მოგახსენებთ, გეტყვით, რომ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის მიზანია, ყველა მიმდინარე და სამომავლო დეველოპერული პროექტების ფარგლებში, მშენებლობების მიმდებარედ, იზრუნოს ადამიანებისთვის კომფორტული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. შესაბამისად, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, „m² უძრავი ქონება“ აქცენტს გააკეთებს სამ სფეროზე: გარემოს დაცვა, შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და ადგილობრივი საგანმანათლებლო კერების მხარდაჭერა.

პირველი პროექტი m²-მა განათლების სფეროში განახორციელა — ნუცუბიძის ქუჩაზე სამშენებლო პროექტის მიმდებარედ, თბილისის 126-ე საჯარო სკოლაში გაარემონტა და სრულად აღჭურვა ავეჯით კომპიუტერული კლასი, სასწავლო ბიბლიოთეკის საცავი და სამკითხველო; დამატებით, სკოლის ეზოში, სპორტული მოედანიც მოაწყო. მოსწავლეების წახალისების მიზნით, დეკორატიულად გაფორმდა სამკითხველო, რათა ბავშვებმა უფრო მყუდრო და სახალისო გარემოში შეძლონ კითხვა. აღნიშნული პროექტი, m²-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდილაძემ სწორედ ამ სამკითხველოში წარადგინა და სკოლას საჩუქრად საინტერესო, შემეცნებითი ლიტერატურაც გადასცა.

ირაკლი ბურდილაძე: „კომპანია სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პროექტების განხორციელებას იწყებს სამი მიმართულებით: გარემოს დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გარემოს ადაპტირება და განათლებაზე ზრუნვა. სწორედ ამ უკანასკნელის ფარგლებში განვახორციელეთ ჩვენი პირველი პროექტი — 126-ე საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, სამკითხველო დარბაზი, სტადიონი და სატრენაჟორო სივრცე მოვაწყვეთ; სამკითხველოს საჩუქრად წიგნებიც გადავეცით... იმედია, ჩვენი პროექტი, ამ სკოლის მოსწავლეების ფიზიკურ თუ გონებრივ განვითარებას შეუწყობს ხელს“.

m²-ის წარმომადგენლების მიერ ნაჩუქარ წიგნებს, ახალგარემონტებულ და კეთილმოწყობილ სამკითხველო დარბაზსა და ბიბლიოთეკაში, უკვე მიუჩინეს ადგილი. მოსწავლეებში კი არანაკლები პოპულარობით უკვე სარგებლობს მოედანი და მის გვერდით, სატრენაჟორო სივრცე. 126-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან აბულაძე აცხადებს, რომ m²-ის მიერ სკოლაში განხორციელებული პროექტი, სწავლის პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვაში დაეხმარება.

ქეთევან აბულაძე: „ჩვენთან ძალიან კეთილშობილური მისიით შემობრძანდა კომპანია „m² უძრავი ქონება“ — კეთილმოაწყო და ავეჯით, ინვენტარით აღჭურვა ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კომპიუტერული კლასი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები, ესთეტიკურ, სუფთა გარემოში მეტი ხალისითა და ინტერესით დაეუფლებიან ცოდნას. ეს პროექტი მოსწავლეებში წიგნიერებას აამაღლებს და სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვაში შეგვიწყობს ხელს. სამკითხველო დარბაზში სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებას მოვაწყობთ, ზოგადად, წიგნის პოპულარიზაციას მოვახდენთ. დიდი მადლობა კომპანია m²-ს“.

კომოპანია „m² უძრავი ქონება“, დღეისთვის ორ პროექტს ახორციელებს: საცხოვრებელი კომპლექსი ნუცუბიძის ქუჩაზე, მეტრო ვაჟა-ფშაველადან 300 მეტრის მანძილზე, რომლის ჩაბარება 2015 წლის ნოემბერში იგეგმება და საცხოვრებელი კომპლექსი ყაზბეგის გამზირზე, რომლის ჩაბარებაც 2016 წლის თებერვალშია გათვალისწინებული. დასრულების პროცესშია კომპანიის პროექტი „m² იპოდრომზე“.

ნინო ლურსმანაშვილი

პროექტის „იზრუნე მომავალში“ ფარგლებში, „ნატახტარის“ ფონდში 143 742 ლარი შეგროვდა

ფონდში „ნატახტარი“, პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, თანხის შეგროვების მესამე ტალღა დასრულდა. და რეკორდული რაოდენობის თანხა, 183 742 ლარი შეგროვდა. ფონდ „ნატახტარისა“ და მისი პარტნიორი ორგანიზაცია, „ჩემი სახლი — საქართველოს“ წარმომადგენლებმა პროექტის მესამე ტალღის დასრულებასთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია სასტუმრო „ტიფლის პალასში“ გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ სამი წლის მანძილზე, პროექტის მიმდინარეობისას, ჯამში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა და მთლიანობაში, 162 მზრუნველობამოკლებულ მოზარდს მისცეს საშუალება, 18 წლის ასაკიდან დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო.

მოთხოვნადი პროფესიები, რომლებსაც მზრუნველობამოკლებული მოზარდები ირჩევენ

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, **თორნიკე ნიკოლაიშვილმა** „ტიფლის პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ პროექტის მესამე ტალღის ფარგლებში დაგროვილი რეკორდული თანხა — 183 742 ლარი, ფონდის მიზნებს მოხმარდება, რათა მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალება მისცენ. მზრუნველობამოკლებული მოზარდი, 18 წლიდან ბავშვთა სახლს ტოვებს და სახელმწიფო მასზე უკვე აღარ ზრუნავს. ფონდი „ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩემი სახლი — საქართველოს“ ერთობლივი პროექტი, „იზრუნე მომავალზე“, სწორედ 15-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით მოზარდებთან მუშაობს. ფსიქოლოგების დახმარებით, მოზარდები მათთვის სასურველ პროფესიას ირჩევენ, ეუფლებიან და შემდეგ საქმდებიან კიდეც. მეტიც, 18 წლის ასაკში ისინი უკვე მზად არიან, დამოუკიდებლად იცხოვრონ.

„მესამე ტალღის აღსრულების ეტაპი იწყება. რაც შეეხება ჩვენ ბენეფიციარ მოზარდებს, კარგი მაჩვენებელი გვაქვს, უფრო გვენდობიან და რაც მთავარია, მოზარდების ნაწილი, ორი წელია, ამ პროექტშია ჩართული. მაგალითად, მოზარდი, რომელიც პროექტის დაწყებისას 15 წლის იყო, დღეს უკვე 17 წლისაა. შესაბამისად, ორი წელია, პროექტში მონაწილეობს. რა თქმა უნდა, ის უფრო ძლიერია, ვიდრე მოზარდი, რომელიც ახლა შემოგვიერთდა. აქედან გამომდინარე, მათი წარმატების პროცენტი აშკარად გაიზარდა, რაც საამაყო და სასიხარულოა“, — განუცხადა „ვერსიას“ თორნიკე ნიკოლაიშვილმა.

ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოსა“ და ფონდ „ნატახტარის“ ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა, **მანანა ომარაშვილმა** პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში, ფონდი „ნატახტარი“ მთლიანობაში 162 ბენეფიციარს დაეხმარა. მისი თქმით, 2012-2013 წლებში, 45 ქეისი დაიხურა, რაც ნიშნავს, რომ პროექტი დასრულდა. თუმცა ზოგჯერ ქეისს იმის გამოც ხურავდნენ, რომ საოჯახო სახლებში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული მოზარდი გოგონები გათხოვდნენ და დახმარებაზე უარი განაცხადეს: **„მიმდინარე 117 ქეისიდან, 13 მოზარდი უკვე მუშაობს, 5 სტუდენტია, 11 აბიტურიენტი, მაგრამ წარმატების კრიტერიუმად მხოლოდ ეს არ გამოდგება. წარმატებაა, როცა ფსიქოლოგის მუშაობის შედეგად, მზრუნველობამოკლებული მოზარდი საზოგადოებაში ადაპტირებული და ინტეგრირებული ხდება. მაგალითად, გვყავდა ბენეფიციარი, 16 წლის გოგონა, რომელსაც ადამიანებთან მისალმებაც კი არ შეეძლო. ამ პროექტის ფარგლებში, ერთ-ერთ სალონში სტილისტის პროფესიას დაეუფლა და ფსიქოლოგის დახმარებით, თანამშრომლებთან ურთიერთობის დამყარება შეძლო. წარმატების კრიტერიუმად უნდა ჩავთვალოთ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, რადგან ფსიქოლოგები მხოლოდ ფსიქოლოგიურ საქმიანობას კი არ ახორციელებენ, ისინი მხარდამჭერ ორგანიზაციებსაც ეძებენ, რომლებიც პროგრამაში ჩაერთვებიან და მოზარდების საჭიროებებს დააკმაყოფილებენ. მაგალითად, ერთ-ერთ მცირე საოჯახო სახლში, მოზარდს მხედველობის პრობლემა ჰქონდა და თუ სასწრაფოდ არ ჩავერეოდით, მხედველობას დაკარგავდა. ჩვენმა ფსიქოლოგმა მოიძია სპეციალური უფასო პროგრამა, მოზარდს თვალის ოპერაცია გაუკეთეს და შესაბამისად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუმჯობესდა“.**

მანანა ომარაშვილის განმარტებით, წარმატების კრიტერიუმებში მზრუნველობამოკლებული მოზარდების თვითშეფასების ამაღლება და პიროვნული განვითარებაც შედის. მისი თქმით, ეს მოზარდები დიდ ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ, სადაც მიჩვეულები იყვნენ, რომ მუდმივად ვიღაც ეხმარებოდათ, აწვდიდნენ ტანსაცმელს, საჭმელს და მათზე ზრუნავდნენ. ასეთი დამოკიდებულება ქმნის რისკს, რომ მოზარდებს დაბალი თვითშეფასება ჩამოუყალიბდეთ, მათი ფსიქიკა ისეა მოწყობილი, გამუდმებით ვიღაც უნდა ეხმარებოდეთ, რაც დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყებას აშკარად უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, პროექტის ფარგლებში, ფსიქოლოგებს ამ მოზარდების ფსიქიკაში გარკვეული გარდატეხა შეაქვთ ანუ მოზარდები ხვდებიან, რომ უკვე საკმაოდ ძლიერები არიან, გარკვეული უნარები შეიძინეს, ფლობენ სასურველ პროფესიას, 18 წლის ასაკს მიაღწიეს, ან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და შესაბამისად, დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყებაც თავისუფლად შეუძლიათ: **„ფონდი „ნატახტარი“ ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. პროექტის ფარგლებში, სხვა ორგანიზაციებიც გამოგვეხმაურნენ. მაგალითად, ლელა ერქვაია და ასოციაცია „ცხოვრების შანსი“, რომელიც საკმაოდ მაღალი დონის პროფესიულ სახელოვნებო კურსებს უფასოდ სთავაზობს ჩვენს მოზარდებს. როდესაც კლუბი „ტრიუმფის“ წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რა საქმეს ვემსახურებოდით, გადაწყვიტეს, თვეში 100 ლარით დახმარებოდნენ მოზარდებს. გორში მდებარე ერთ-ერთი სილამაზის სალონის მფლობელმა გვითხრა, რომ ჩვენს ბენეფიციარებს უფასოდ შეასწავლიდნენ პროფესიას. ოზურგეთის ერთ-ერთი საცხობის მფლობელმა კი მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს ხელობაც ასწავლა, სტაჟირებაც გაატარა და დაასაქმა კიდეც“.**

მანანა ომარაშვილის თქმით, 2014 წელს, პროექტის ფარგლებში 152 ბენეფიციარი ჩაერთვება, მათ შორის 35 ახალია, რომლებიც 1 აპრილამდე გახდნენ 15 წლის და პროექტს „იზრუნე მომავალზე“ შეუერთდნენ. რაც შეეხება მოთხოვნად პროფესიებს, ვაჟებს ვებდიზაინერობა და ავტომობილების შეკეთება, გოგონებს კი სტილისტობა მოსწონთ.

მაია მიშელაძე

„დეკრეტული შვებულების ანაზღაურება კვლავ არასაკმარისია“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

როგორია კერძო სექტორში დასაქმებული დედების მდგომარეობა, რაფომ ვერ მოახდინა პროგრესი დეკრეტული ანაზღაურების გაზრდამ და გავლენ თუ არა ქართველი მამაკაცები დეკრეტში

ახალგაზრდა ადვოკატებმა, კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, კვლევა და სარეკომენდაციო წინადადებები გამოაქვეყნეს. ორგანიზაციის თანადამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, **მარიკა არევაძის** განცხადებით, მონიტორინგმა აჩვენა, რომ შრომის კოდექსის შემდგომი ცვლილებები და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. კვლევამ ცხადყო, რომ დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობა მეტ გარანტიას მოითხოვს — პრობლემურ საკითხად რჩება დეკრეტული შვებულების პერიოდში ანაზღაურების წესი და ოდენობა, დედისა და ბავშვის უზრუნველყოფა საჭირო სამედიცინო მომსახურებითა და ფარმაცევტული პროდუქციით. მონიტორინგმა ყურადღება გაამახვილა მამის უფლებაზეც — ბავშვის მოვლის მიზნით, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით და ამ მიმართულებით, შრომის კანონმდებლობა დაუახლოვდეს ევროპული ქვეყნის პრაქტიკას.

ორგანიზაციამ შედეგები საქართველოში მოქმედ კერძო კომპანიებთან კომუნიკაციის შედეგად გამოაქვეყნა, კვლევაში მონაწილეობა მხოლოდ 6-მა კომპანიამ მიიღო, 14-მა კომპანიამ კი, თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. კომპანიების მონაცემთა გათვალისწინებით, დადებითი მიდგომებიც გამოიკვეთა: 2012-2013 წლებში, ორსულ თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულება არ შეუწყვეტიათ; 2012-2013 წლებში, დასაქმებული დედების უმრავლესობამ, სრულად ისარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით; დეკრეტული შვებულებიდან დაბრუნებულ ყველა დასაქმებულს გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება; შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა მხოლოდ დასაქმებულის ინიციატივით; დასაქმებულ დედებს დეკრეტული შვებულებას უნაზღაურებდნენ კომპანიების მხრიდან ჩამოყალიბებული ინდივიდუალური სქემით; კომპანიები დეკრეტულ შვებულებაში მყოფ დასაქმებულ ქალებს უნარჩუნებდნენ შრომით ანაზღაურებას.

ახალგაზრდა ადვოკატების შეფასებით, მნიშვნელოვანი წინსვლა, რომელიც შრომის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა მოიტანა, დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობის გაზრდაა. რაც შეეხება დეკრეტული შვებულების გაზრდილ ანაზღაურებას, კოდექსს ამ ნაწილში, განსაკუთრებული ცვლილება არ მოუტანია. დეკრეტული შვებულების ხანგრძლიობა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მინიმუმზე გაცილებით მეტიცაა და, შესაბამისად, უკეთესიც, მაგრამ ამ პერიოდში, დედისთვის მატერიალური დახმარება კვლავ ძალზე მცირე და რეალურ საჭიროებებთან შეუსაბამოა. ამ ფონზე, შრომის კოდექსი საჭიროებს ეფექტურ ცვლილებებს, ახლებური მიდგომების ჩამოყალიბებას დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესრულებას.

კვლევისას ყურადღება დაეთმო დასაქმებული დედების უფლებრივი მდგომარეობის საერთაშორისო გამოცდილებასაც. განიხილეს კანადის, ნორვეგიისა და ესტონეთის შრომის სამართლის კოდექსები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტები დასაქმებული დედების შესახებ და ევროპის სოციალური ქარტია.

მარიკა არევაძე: „2012 წლის ოქტომბრის შემდეგ შრომის კოდექსში გაუმჯობესებაა, მაგრამ არასაკმარისია კერძო სექტორში დასაქმებული დედების უფლებების უზრუნველსაყოფად. დეკრეტული შვებულების ვადა 4-დან ექვს თვემდე გაიზარდა, მაგრამ ანაზღაურების 600-დან ათას ლარამდე გაზრდას, ვადის გათვალისწინებით, თვალშისაცემი პროგრესი არ მოუტანია. კარგია, რომ სამედიცინო, ფარმაცევტული პროდუქციის უზრუნველყოფის კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ამ მიმართულებით უფრო წინ უნდა წავიდეთ. ამ ეტაპზე, საკანონმდებლო წინადადებაზე ვმუშაობთ, რის შემდეგაც პარლამენტს მოვუწოდებთ, დასაქმებული დედების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ჩვენი წინადადებების (მათ შორის ანაზღაურების ნაწილში) კანონპროექტად ქცევა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ სფეროში ევროპის განვითარებულ სტანდარტებთან დასაახლოებლად. მანამდე, მთავრობის წარმომადგენლები ამ დარგში მოსალოდნელი ცვლილებების განხორციელებაზე საუბრობენ, თუმცა ეს შეიძლება ხვალ ან 5 წლის შემდეგ გაკეთდეს, რაც პრობლემისადმი მიუღებელი დამოკიდებულება იქნება. რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას, სამი ქვეყნის მაგალითი შევისწავლეთ – შრომის კოდექსით გათვალისწინებულია ანაზღაურებადი შვებულება, სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება, ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფა და რიგ შემთხვევაში, სტომოტოლოგიური მომსახურებით სარგებლობაც. ჩვენი რეალობისთვის შეიძლება გასაკვირიც იყოს, მაგრამ მამაკაცებსაც აქვთ ანაზღაურებადი შვებულება, ბავშვის მოვლის მიზნით; ასევე სამ წლამდე, დამატებითი ანაზღაურებადი შვებულებაცაა გათვალისწინებული“.

„ფაქტობრივად, დაკოდეს საკონსულოს საქმიანობა“

საბედისწერო ცვლილება კანონში — კონსულს საკონსულო ოლქის შემოვლის ვალდებულება აღარ ექნება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

კონსულს წელიწადში ერთხელ საკონსულო ოლქის შემოვლის ვალდებულება აღარ ექნება და ამას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გააკეთებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, კანონის ამ ნაწილში ცვლილებები შედის, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა.

მოქმედი, საკონსულო საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად, საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია, საკონსულო ოლქის შემოვლა წელიწადში ერთხელ მაინც განახორციელოს — უნდა მოინახულოს საკონსულო ოლქის ფარგლებში საქართველოს ფიზიკურ პირთა კომპაქტური დასახლების ადგილები; შეისწავლოს მაცხოვრებლების პრობლემები; მათთვის აქტუალური ინფორმაცია მიაწოდოს და შესაძლებლობის ფარგლებში, გარკვეული დახმარებაც გაუწიოს.

კანონში ამ მიმართულებით ცვლილებების შეტანას, „საბედისწერო შეცდომას“ უწოდებს საკონსულო დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი **ჰამლეტ ჭიპაშვილი**: **„თავის დროზე, საკონსულო საქმიანობაზე კანონი პარლამენტმა ჩემი ინიციატივით მიიღო. როცა საკონსულო დეპარტამენტიდან პარლამენტში გადავინაცვლე, დაიწყეს ბრძოლა ამ კანონის წინააღმდეგ. სამინისტროს ბედოვლათები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც მხოლოდ ცხოვრების მოწყობას ცდილობდნენ და სახელმწიფო არ აინტერესებდათ. ეს ტენდენცია სააკაშვილის დროსაც გაგრძელდა — ისეთი ხალხი მოიყვანეს სისტემაში, დიპლომატიურ საქმიანობასთან შეხება რომ არ ჰქონია და, სამწუხაროდ, ვითარება არც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ შეცვლილა, რასაც მიღებული გადაწყვეტილებები ადასტურებს. საკონსულოებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება საბედისწერო შეცდომაა. ამით, ფაქტობრივად, დაკოდეს საკონსულოს საქმიანობა. კონსული, უპირველესად, ვალდებულია, შემოიაროს ზონა, სადაც მუშაობს, საქმის კურსში იყოს, რა უჭირთ იქ მცხოვრებ ქართველებს, რა პრობლემები აქვთ... შესაძლოა, იმ წუთში კონკრეტული დახმარება ვერ გაუწიოს, მაგრამ მინიმუმ, ინფორმაციას უნდა ფლობდეს. ეს წელიწადში ერთხელ კი არა, სისტემატურად უნდა ხდებოდეს. ამ ცვლილებით კი ეს ვალდებულება აღარ იქნება. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: საკონსულო დეპარტამენტის დირექტორობისას, ჩვენი კონსული ტრაბზონში გია ჯანჟღავა იყო. ჩემთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა. საზღვარი გაიხსნა თუ არა, ჩვენგან ბევრი გადავიდა თურქეთში სამუშაოდ და ყველამ იცის, რა პირობებში უწევდათ ყოფნა: კაცები შავ მუშებად იყვნენ, ქალები კი... ადგილობრივი პოლიცია და უშიშროება მათ მოშორებას ცდილობდა. ხდებოდა დაპატიმრებები, მკვლელობები, ათასი უბედურება... ჩვენთან მოდიოდნენ ქმრები და გვეკითხებოდნენ ცოლების შესახებ, ადგილზე ამ ყველაფრის გასარკვევად ჩვენი კონსული მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რათა იქაურ ქართველებზე ინფორმაცია გვქონოდა. დღეს ჩვენები ყველგან ცხოვრობენ. ასევე პირადად მქონდა შეხება რუსეთში მომუშავე ქართველებთან. ისევ ჩვენივე თანამემამულეები ამყოფებდნენ მათ მონურ მდგომარეობაში, მიიყვანდნენ სადმე ჯურღმულში, მერე დაიწყებდნენ მშენებლობას, ბეტონის საძირკველს გააკეთებდნენ თუ არა, გადაჰყავდათ და უკვე იქ აცხოვრებდნენ. ამ ადამიანებს კონსულთან რომ ეჩივლათ, დამქირავებელი მაშინვე გაათავისუფლებდა ე.წ. სამსახურიდან. ძალიან ბევრი ასეთ მდგომარეობაში მუშაობდა და ასეთებზე ზედამხედველობა, ინფორმაციის ქონა სწორედ კონსულს ევალებოდა. ასეთ დროს, კონსული ვალდებულია, წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველკვირეულად წეროს ანგარიში და თავის სახელმწიფო საქმის კურსში ჩააყენოს. ყველა ქვეყანაში ასეთი პრაქტიკაა, მეტ-ნაკლებად, მათ შორის ცივილიზებულ გერმანიაშიც. კონსულს თუ ასეთი ინფორმაცია ადგილიდან არ ექნება, მაშინ რა აზრი აქვს მისი ინსტიტუტის არსებობას?“**

წელს, დუშეთის რაიონში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

ეროსუდან შელია
557-100-768

დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოციალურ საკითხებთან ერთად, დამატებით ორი ძირითადი პრობლემაც გამოიკვეთა — დაზიანებული გზა და სასმელი წყლის უქონლობა. წინა ხელისუფლებას შესაბამისი კეთილი ნება რომ გამოეჩინა, რაიონში ორივე პრობლემა დიდი ხნის გადაჭრილი იქნებოდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანი ზურაბ ოტიაშვილი დააკავეს, რომელსაც ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, თაღლითობასა და აკრძალული საჩუქრების მიღებაში ედება. სხვათა შორის, მის სახელს ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობაც უკავშირდება. კერძოდ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, როცა ზურაბ ოტიაშვილმა დუშეთის მაჟორიტარ დეპუტატად საკუთარი კანდიდატურა დაასახელა, ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულზე ერთ-ერთ ამომრჩეველს 500 ლარი „უსახსოვრა“, მოგვიანებით კი განმარტა, უსინათლო მომღერალს საკუთარი თანხით დავეხმარეო...

სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება, გზები დაიგება, სტიქიით დაზიანებული სახურავები შეკეთდება, მაღალმთიან სოფლებში უფასო ავტობუსი დაინიშნება...

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი მოადგილე იქით იყოს, და...

„ვერსია“ დაინტერესდა, ხელისუფლების ცვლილებისა და დუშეთის რაიონში ახალი გამგებლის არჩევის შემდეგ, მუნიციპალიტეტში დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად და რაიონის განსავითარებლად რა კონკრეტული ღონისძიებები თუ სამუშაოები ჩატარდა. ისიც საინტერესოა, იცის თუ არა დუშეთის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელმა მმართველმა ადგილობრივების პრობლემების შესახებ და რას აკეთებს მათ დასახმარებლად.

2013 წლის 16 დეკემბერს, ძლიერმა ქარმა, ბაზალეთის ტერიტორიულ ორგანოში შემავალი სოფლების მცხოვრებლები მნიშვნელოვნად დააზარალა. კერძოდ, 13 შენობის სახურავი დაზიანდა. სტიქიის მეორე დღესვე, შემთხვევის ადგილზე დუშეთის მაჟორიტარი, პარლამენტის წევრი ერეკლე ტრიპოლსკი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი სოლომონია, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი და ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ზაქარია ხეხელაშვილი იმყოფებოდნენ — მათ სტიქიით მიყენებული ზარალი დაათვალიერეს, დაზარალებულ ოჯახებს კი შესაბამის დახმარებას დაპირდნენ.

იანვარში, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, 127 100 ლარი გამოიყო. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ამ თანხით რამდენიმე დაზარალებული ოჯახისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა მოახერხა. კერძოდ, ბაზალეთის ტერიტორიული ორგანოს სოფელ ყარსიმაანთ დასახლებაში მცხოვრები ლალი კასრაძის საცხოვრებელი სახლი, ასევე ბაზალეთის ტბაზე მდებარე სანიჩბოსნო სკოლა და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი გარემონტდა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ მლაშის ტერიტორიაზე მდებარე სასათბურე მეურნეობის საცხოვრებელ კორპუსსაც. ამასთან, სოფელ ჩირდილელიანთ დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების, აკაკი და ნიკოლოზ სონიშვილების საცხოვრებელი სახლები შეკეთდა. შესაბამისი სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ საკრამულში მცხოვრები გივი ხოსრუაშვილის, სოფელ ჩანადირების მკვიდრის მურთაზ ბოდაველის, სოფელ ბაგაში ოთარ კედელაშვილისა და ლამარა ჭინჭარაშვილის, ამასთან, სოფელ ჩუბინიაანთ დასახლებაში მცხოვრებ ნუგზარ არაჩაშვილის, სოფელ ჭილურტში დავით ფეიქრიშვილის საცხოვრებელ სახლებსაც.

ბუნებრივია, სტიქიისგან დაზარალებული მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურების პრეცედენტი მისასალმებელია, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა სტიქიისა და მდინარეების ადიდების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების ჩატარებასაც გეგმავს. ამ მიმართულებით, გამგეობის ინიციატივით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტიც განხორციელდა. კერძოდ, სოფელ გომეწარში, სადაც გზა დაზიანებული იყო, კალაპოტის მოუწესრიგებლობის გამო კი მდინარე დიდდებოდა, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა, კალაპოტი — გაიწმინდა. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი-სტიქია) 137 674 ლარი დაიხარჯა. სხვათა შორის, იმავე სოფელში 2013 წელს გაბიონების, ორი ბოგირისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციაც დასრულდა. ასეთივე სამუშაოები ჩატარდა დაბა ფასანაურში.

კალაპოტი და ბოგირები გაიწმინდა სოფელ ციხევდავში, შუახევში, დოლასქედში, ჯუღისსა და ვაშლობშიც. მეტიც, სოფელ დოლასქედ-ჯუღისი-ვაშლობში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც განხორციელდა. ამასთან, სოფელ შარახევში გზის რეაბილიტაციისა და ხევის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოებიც დასრულებულია. გზა მოეწყო და კალაპოტი გაიწმინდა სოფელ ჭართალშიც, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 19 344 ლარი დაიხარჯა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჭართლის თემში, წყალამრიდის საფუძვლის, მიწის ვაკისის გამაგრებისა და ჯიმი გიგაურის ტერიტორიის მიმდებარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დასრულებულია.

ინფრასტრუქურა მოწესრიგდა სოფელ ბიჩნიგაურებშიც, სადაც შესასვლელი გზა, ფაქტობრივად, ამორტიზირებული იყო. ამ მიმართულებით საჭირო თანხა, კერძოდ 58 916 ლარი გამოიყო.

გარდა ამისა, სოფელ კაწალხევში გზის მოწყობის, ხიდის რესტავრაციის, კალაპოტის გაწმენდისა და გაბიონის რეაბილიტაციის სამუშაოები ამ დროსაც მიმდინარეობს. როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა იუწყება, სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დასრულდება. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიისგან ბევრად დაცული გახდება.

პარალელურად, სოფელ ანანურის დასახლებაში დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

მაგალითად, სასმელი წყლის პრობლემა ანანურის თემში, კერძოდ, სოფელ ციხისძირში პრაქტიკულად გადაჭრილია. აღნიშნული სამუშაოებისთვის საჭირო სახსრები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოინახა და ჯამში, 13 550 ლარი შეადგინა. სასმელი წყლის პრობლემა ბაზალეთსა და სოფელ ჩანადირანთკარშიც აღმოიფხვრა. სოფელ მჭადიჯვარში, ჭოპორტში, გრიგოლიანთარსა და ჩუბინიანთკარში კი, სანიაღვრე არხები სრულად გაიწმინდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა.

2014 წლის მაისში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ორწყლიდან უკანაფშვამადე მდინარე ფშავის არაგვის კალაპოტის დამბების რეაბილიტაცია და სავალი ნაწილის აღდგენაც დასრულდება. ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 54 358 ლარი გამოიყო და სამუშაოებიც გაბიონების მოსაწყობად უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. სხვათა შორის, უკანაფშავის ტერიტორიულ ორგანოში ფშავის არაგვის ხეობაში „ღამეხევას“ ხევზე, ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოებიც ხორციელდება.

რაც შეეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლისთვის დაგეგმილი პროექტების ჩამონათვალის მიხედვით, აშკარაა, რომ რაიონის გამგეობისთვის პრიორიტეტს ინფრასტრუქუტურის მოწესრიგება და სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. მაგალითად, ქალაქ დუშეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოსაწყობად, 44 300 ლარი გამოიყო. სამუშაოები უკვე დაწყებულია და გეგმის მიხედვით, წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

ამასთან, მცხეთა-ლარსის საავტომობილო გზიდან, ქ. დუშეთის ამოსასველის სავალი ნაწილის დამცავი კედლის რეაბილიტაციის, „დამპალი წყაროს“ სათავე ნაგებობისა და მილსადენის რეაბილიტაციისთვის, ბიუჯეტიდან 11 ათას 500 ლარია გათვალიწინებული. წყალმომარაგების ქსელის მოწყობა იგეგმება სოფელ პირმისაანთკარშიც, სადაც განსახორციელებელი სამუშაოებისთვის 36 600 ლარი დაიხარჯება. ორივე პროექტის სისრულეში მოყვანის პროცესი დაწყებულია.

სოფელ მლაშე-საკრამულის საავტომობილო გზის მოსწორება-მოხრეშისთვის კი, ბიუჯეტიდან 57 ათას 900 ლარი დაიხარჯება. 100-მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია იგეგმება სოფელ მეზვრიაანთკარში მიმავალ გზაზეც. სოფელ მთვრარელიანთ დასახლებაში კი, საცალფეხო ხიდი მოეწყობა. მეტიც, სოფლის შემოვლითი გზის მოხრეშაც იგეგმება. გზის მოხრეშისთვის 51 900 ლარი გამოიყო სოფელ სულიკიანთკარშიც. მოიხრეშება ასევე ქ. დუშეთში, ბექაურის ქუჩის ბოლო მონაკვეთიც...

დუშეთის გამგეობა მასშტაბური სამუშაოების დაწყებას დაზიანებული სახურავების აღდგენის მიმართულებითაც გეგმავს. კერძოდ, ქალაქ დუშეთში, სამხედრო დასახლება 3-ში მდებარე მე-7 კორპუსის სახურავის რეაბილიტაციისთვის მასალების შესყიდვა იგეგმება. დაბა ჟინვალში კი, საცხოვრებელი კორპუსების (1,4,5,6,8,9,10,11,12,14,15,17,18,19) ამხანაგობებთან თანადაფინანსებაზე 61 100 ლარი ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო. აღსანიშნავია, რომ დაბა ჟინვალში 18 კორპუსს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება. 2014 წელს დაგეგმილ პროექტებში დაბა ფასანაურში სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციაც გათვალისწინებულია, რომლისთვისაც 16 600 ლარი გამოიყო. დაბა ჟინვალში კი, სპორტული დარბაზის გათბობის სისტემის მონტაჟიც იგეგმება.

გარდა ამისა, 2014 წელს სოფელ წითელსოფლის ბაზრის რეაბილიტაციაც იგეგმება, შესაბამისი სამუშაოებისთვის კი, 63 500 ლარი დაიხარჯება. იმავე სოფელში სკვერიც მოეწყობა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 15 ათასი ლარი გამოიყო. პარალელურად, სოფელ ქვეშეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით, მაღალმთიან და მიუვალ სოფლებში უფასო მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნება. კერძოდ, ხორხი-დუშეთი-ხორხის მიმართულებით უფასო ავტობუსი კვირაში ერთხელ ადგილობრივ მოსახლეობას 2014 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოემსახურება. ჩოხი-ფასანაური—ჩოხის მიმართულებით კი, უფასო ტრანსპორტი კვირაში ორჯერ ივლის, ეს გადაწყვეტილება მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საგზაო მოძრაობის უჩვეულო წესები

ვებსაიტ Yahoo-ს ავტოექსპერტებმა საგზაო მოძრაობის უჩვეულო წესები გამოაქვეყნეს, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღემდე მოქმედებს: თუ ვიეტნამში ავტომანქანას ისე მიუჯდებით, რომ მართვის ადგილობრივი მოწმობა არ გექნებათ, ადვილი შესაძლებელია, სამი წლით გისოსებსმიღმა აღმოჩნდეთ, ტაილანდში ქალებსაც და მამაკაცებსაც ეკრძალებათ ტანსაზემოთ შიშვლებს სატრანსპორტო საშუალების მართვა, ხოლო თუ შორეულ კოსტა-რიკაში გადაინაცვლებთ და საჭეს ნასვამი მიუჯდებით, ნუ შეგეშინდებათ, მთავარია, სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,05%-ს არ აჭარბებდეს, სამაგიეროდ გეკრძალებათ მაღალ ხმაზე მუსიკის მოსმენა, თუკი ეკლესიის, საავადმყოფოს ან სკოლის სიახლოვეს იმყოფებით; საფრანგეთში მძღოლებს ეკრძალებათ გადაადგილება პორტატული ალკოტესტერის გარეშე, კვიპროსელი მძღოლები კი ჯარიმდებიან, თუ საჭეს ხელს მოაშორებენ და ემოციებს ჟესტებით გამოხატავენ; სამხრეთ აფრიკაში მძღოლები იძულებულნი არიან, გზა მწყემსებსა და ცხოველებს დაუთმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში 500-დოლარიანი ჯარიმა ემუქრება; ამომავალი მზის ქვეყანაში თუ გუბის წყლით გაწუწავთ ქვეითად მოსიარულეს, სულ მცირე, 60 დოლარით მაინც დაჯარიმდებით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმ ჯარიმასთან შედარებით, რაც ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისთვის გელით.

დიდ ბრიტანეთში შეიძლება დასაჯონ მძღოლი, თუკი საჭესთან სენდვიჩით ან ვაშლით ხელში გამოიჭერენ, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში მძღოლებს ეკრძალებათ ქალაქის ზოგიერთ ხალხმრავალ რაიონში შესვლა კვირის გარკვეულ დღეებში — მანქანის ნომრიდან გამომდინარე, მაგალითად, თუ სატრანსპორტო საშუალების ნომერი 1-ით ან 2-ით მთავრდება, მძღოლს დააჯარიმებენ, ასეთ რაიონში ორშაბათს თუ გამოჩნდება...

ყველაზე ძვირადღირებული ქუჩები

ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ცნობილი გამოცემის, „ფაინენშლ ნიუეის“ ექსპერტებმა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგი შეადგინეს, მასზე არსებული საცხოვრებელი ფართის ღირებულების მიხედვით. ყველაზე სასურველი და ძვირფასი ქუჩების სიაში პირველი ადგილი ჰონგკონგში არსებულ სევერნ როუდს ხვდა წილად — აქ ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 57 ათასი ევრო ღირს, 2012 წლიდან კი ფასმა 9%-ით მოიმატა; მეორე ადგილზე ლონდონის კენსიგნტონ პალას გარდენია, სადაც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 55 ათასი ევროა; საპატიო მესამე პოზიციაზე გავიდა მონაკოს გრეისის ავენიუ, სადაც ფართის ღირებულება, საშუალოდ, 50 ათასი ევროა. „მოწინავეთა რიგებშია“ შემი დე სენ ჰოფისის ქუჩა საფრანგეთში, სადაც მხოლოდ 15 სახლია, კვადრატული მეტრის ღირებულება კი 45 ათასი ევროა. ამავე ფასად შეიძენთ საცხოვრებელ ფართს ნიუ იორკის სახელგანთქმულ მეხუთე ავენიუზეც. რაც შეეხება პარიზის ანატოლის სანაპიროს, აქ ერთი კვადრატული მეტრი 32 ათასი ევრო ღირს. სასურველი და ძვირადღირებული ქუჩების რეიტინგში მოხვდნენ, ასევე, ჟენევის რუ ბელოტი და იტალიის პატარა საკურორტო ქალაქ პორტო ჩერვოს ვია რომაჩინო.

მკერდის გადიდების მცდელობას გადაჰყვა

39 წლის არგენტინელი სონია ლანზონი მკერდის გადიდების წარუმატებელი მცდელობის შედეგად გარდაიცვალა. ქალმა გადაწყვიტა, ეს პროცედურა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა და მკერდში ვაზელინის ინექცია შეიყვანა, ამ პროცედურიდან რამდენიმე კვირაში კი ფილტვში თრომბი წარმოიქმნა და ემბოლია განვითარდა. სონიამ საავადმყოფოს მას შემდეგ მიაკითხა, რაც სუნთქვა გაუჭირდა, თუმცა ქალმა არ გაამხილა, რომ ვაზელინის ინექცია ჰქონდა გაკეთებული და როცა ყველაფერი გაირკვა, უკვე გვიან იყო. როგორც ჰოსპიტლის მთავარი ექიმი ამბობს, მსგავსი რამ არასოდეს უნახავს — ადამიანის ორგანიზმი არ არის მომზადებული ვაზელინის მსგავსი სუბსტანციებისთვის, ამიტომ იმუნიტეტი ამ შემთხვევაში უძლურია — მას არ ძალუძს უცხო ელემენტების უკუგდება. სონიას მკერდში შეყვანილი ვაზელინი სისხლში მოხვდა, სისხლი შეადედა და თრომბი წარმოქმნა. ქალი საავადმყოფოში ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა.

საუკეთესო პერიოდი ქალის ცხოვრებაში

ქალის ცხოვრებაში ყოველ ეტაპს კონკრეტული ასაკი აქვს. მაგალითად, პირველი შვილის გაჩენისთვის სპეციალისტები საუკეთესო ასაკად 23-35 წელს მიიჩნევენ, ოჯახის შექმნისთვის — 25-დან 29 წლამდე, სპორტით და აქტიური ფიზიკური ვარჯიშებით დაკავება 40 წლამდე სჯობს, მერე უკვე სეირნობა და ცურვაა სასურველი. კარიერულ წინსვლაზეც, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა 40 წლამდე უნდა იზრუნონ, თუმცა არსებობს გამონაკლისიც. წონის კორექციას სწავლულები 28 წლის შემდეგ გვირჩევენ — ამ ასაკიდან ორგანიზმში ნელ-ნელა ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის პროცესი და, შესაბამისად, იმაზე ნაკლებ კალორიებს ვწვავთ, ვიდრე ვიღებთ, ამიტომ სპეციალისტები გვირჩევენ, მივირთვათ ხშირად და ცოტ-ცოტა. რაც შეეხება კოსმეტიკურ პროცედურებს, აქ ექსპერტები გვირჩევენ, 25 წლამდე მხოლოდ კანის ყოველდღიური მოვლით დავკმაყოფილდეთ, 30 წლამდე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კანს, 40 წლამდე ქალს უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი ნაოჭი, 40 წლის ზემოთ კი, თუ მანდილოსანს სურს, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა, აუცილებლად უნდა მოიცალოს საკუთარი თავისთვის: წესად შემოიღეთ დილის და საღამოს მოციონი, ცურვა ან ელემენტარული ვარჯიშები. რეგულარულად გაიკეთეთ ანტიცელულიტური მასაჟი, ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც მიაკითხეთ კოსმეტოლოგს და სახე გაიწმინდეთ.

იტალიელები — ყველაზე სიმპათიური კაცები მსოფლიოში

ყველაზე სექსუალურ და სიმპათიურ მამაკაცებად მსოფლიოში, უკვე მერამდენედ, იტალიელები დაასახელეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ აპენინელ მამაკაცს აქვს ის შარმი, რაც სხვა ეროვნების არც ერთ ძლიერი სქესის წარმომადგენელს არ გააჩნია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ დაკუნთული, გარუჯული და შავგვრემანი იტალიელები ქალების გულს იპყრობენ. გამოკითხვაში „კაცური სილამაზე“ 10 ათასი წარმომადგენელი მონაწილეობდა, 12 ქვეყნიდან — ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, მალაიზია, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, ბრიტანეთი და აშშ. გამოკითხვის მიხედვით გაირკვა, რომ ქალებისთვის, კაცის გარეგნობასთან ერთად, მნიშვნელოვანია ჰიგიენა, მეორე მთავარი მოთხოვნა კი ნდობა აღმოჩნდა. ამასთან, კაცების დიდ ნაწილს ალბათ გაახარებს ის ამბავიც, რომ სიმელოტე მანდილოსნებისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს — სხვა ყველაფერი თუ რიგზე იქნება, თმის სიხშირეს არავინ დაეძებს. ქვეყნები, სადაც 60 წელსზემოთ ასაკოვანი, სიმპათიური კაცები ცხოვრობენ, აშშ, ჩინეთი, საბერძნეთი და მალაიზიაა. იტალიის შემდეგ, მასობრივად ლამაზი და მიმზიდველი მამაკაცები არიან აშშ-ში, რუსეთსა და ბრაზილიაში. რესპონდენტების აზრით, ესპანელი კაცები, ქალებისგან განსხვავებით, გაცილებით გემოვნებით იმოსებიან. ძლიერმა სქესმა კი ფრანგ და ავსტრალიელ ქალებს „საუკეთესო ღიმილის“ მქონეთა ტიტული მიანიჭა.

ყველაზე გამაღიზიანებელი ჩიფსის ხრაშუნია

ევროპელმა სოციოლოგებმა გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, ყველაზე მეტად რა აღიზიანებს ადამიანებს. პირველ ადგილზე აღმოჩნდა ჩიფსის ხრაშუნი — გამოკვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობამ აღიარა, რომ ცოფდებიან, როცა ვინმე ჩიფსს ახრაშუნებს; შემდეგ ადგილზე მოხვდა საღეჭი რეზინის წკლაპუნი და ბანკომატთან ქვითრის მომლოდინე კლიენტი; მაღაზიებში გამღიზიანებელი ის მყიდველია, რომელიც მხოლოდ მაშინ იწყებს საფულის ძებნას, როცა მოლარე გადასახდელ თანხას დაუსახელებს. ყველაზე გამაღიზიანებელ მოვლენებს შორის ასამდე ფაქტი მოხვდა, მათ შორისაა ფეხით მოსიარულეები, ველოსიპედისტები, ადამიანები, რომლებიც მხარს ზემოდან სხვის წიგნსა თუ გაზეთში ყოფენ ცხვირს და მგზავრები, რომლებიც მაინცდამაინც თქვენს გვერდით ჯდებიან, როცა ირგვლივ ყველა ადგილი ცარიელია...

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ ვერსია

ადვილი

	4			2				
								7
6	8		9	5				1
		4	5			2	6	8
		6				3		
5	3	2			6	7		
1				9	8		4	6
4								
				6			3	

სტანდარტი

	8				7	2		
7							4	
		5		8	4			3
	2			1	6			
		1		5		3		
			9	7			2	
3			8	2		9		
	6							8
		8	6				7	

რთული

8		4				7		
7	6		5					
					7			3
9	3			5	2			
				3				
			7	4			6	9
2			4					
					8		5	1
		5				9		7

ექსპერტი

	1		5			7		9
		8						
	5			8	6			
3	4				5	1		
9				1				5
		1	8				3	6
			3	6			1	
						5		
8		2			4		6	

სასარგებლოა თუ არა ყველი?

ამ პროდუქტის რეგულარული მოხმარება აუმჯობესებს კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობას, ასევე მხედველობას... ყველის სასარგებლო თვისებები მისი საკვები ღირებულებით აიხსნება: სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცილები, რძის ცხიმი, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები... რომელთა კონცენტრაცია ყველში 10-ჯერ მაღალია, ვიდრე რძეში, გაცილებით უკეთ აითვისება ორგანიზმის მიერ. ამ პროდუქტის 3%-ს მინერალური ნივთიერებები შეადგენს, სადაც ლომის წილი კალციუმსა და ფოსფორზე მოდის, გარდა ამისა, ყველშია თუთია, იოდი, სელენი, რკინა, სპილენძი, კალიუმი. არანაკლებ მდიდარია ვიტამინური ნაკრებითაც: A, B1, B2, B12, C, D, E, PP და სხვ.

კერძოდ, რის გამოა ყველი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო? — მასში არსებული ექსტრაქტური ნივთიერებები სასიკეთო გავლენას ახდენს საკვების მომნელებელ ჯირკვლებზე და აძლიერებს მადას, ცილა კი ორგანიზმში არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბიოლოგიური სითხის (სისხლი, ლიმფები) განუყოფელი ნაწილია, მნიშვნელოვანი კომპონენტია იმუნიტეტის, ჰორმონებისა და ენზიმებისთვის. ყველში არსებული B-ჯგუფის ვიტამინები სასიკეთოდ მოქმედებს სისხლზე, ამაღლებს შრომისუნარიანობას, ხელს უწყობს ენერგიის გამომუშავებას და სასუნთქი სისტემის კატალიზატორია.

ყველის სასარგებლო თვისებები, სპეციალისტების განცხადებით, დამოკიდებულია სახეობასა და ხარისხზე, მაგალითად, ე.წ. ობიანი ყველი საუკეთესოა მათთვის, ვისაც ლაქტოზის აუტანლობა აქვს — ამ სახეობაში რძის შაქარი თითქმის არ არსებობს, თუმცა ობიან ყველს არ ურჩევენ ფეხმძიმეებსა და ბავშვებს არსებული ბაქტერიების გამო. ყველის რეგულარული მოხმარება კანის, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობას აუმჯობესებს, ჭარბი რაოდენობით ვიტამინი კი სასიკეთო გავლენას ახდენს მხედველობაზე. სწავლულები ამბობენ, რომ ყველისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება მაშინაა შესაძლებელი, თუ დილით, 9-დან 11 საათამდე მივირთმევთ — ამ დროს ყველა სასარგებლო ნივთიერება აითვისება ორგანიზმის მიერ.

ტელეკომპანია „თრიალეთი"

რეკლამა „თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ადრე ადგომა მავნებელია

ვინც დილით ადრე იღვიძებს, უფრო მეტად უვითარდება გულის დაავადებები, ვიდრე მათ, ვინც მეტ ხანს ნებივრობს საწოლში, — კიოტოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა ეს დასკვნა მას შემდეგ გააკეთეს, რაც ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ ადრიანად გაღვიძება და ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემა ურთიერთდამოკიდებულია. ადამიანებს, რომლებიც ადრე იღვიძებენ, ადვილად ემართებათ ინფარქტი, ჰიპერტონია და მათ მედიკოსები ურჩევენ, სტრესის მოსახსნელად ადრე დაიძინონ. მკვლევარები აცხადებენ, რომ ქრონიკული გამოუძინებლობა ზრდის დატვირთვას გულზე, რაც შესაძლოა ლეტალური შედეგით დასრულდეს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

8	6	1	3	9	7	5	4	2
5	7	4	1	8	2	9	6	3
3	2	9	6	5	4	8	1	7
7	9	8	5	4	1	3	2	6
6	5	3	2	7	9	1	8	4
1	4	2	8	6	3	7	9	5
2	8	7	9	3	6	4	5	1
9	3	6	4	1	5	2	7	8
4	1	5	7	2	8	6	3	9

სტანდარტი

5	4	8	3	9	7	2	1	6
1	3	6	8	5	2	4	9	7
2	9	7	6	4	1	8	5	3
9	8	2	5	6	4	7	3	1
3	7	5	2	1	9	6	8	4
6	1	4	7	8	3	5	2	9
8	5	3	1	7	6	9	4	2
7	2	9	4	3	5	1	6	8
4	6	1	9	2	8	3	7	5

რთული

7	9	1	2	6	8	4	3	5
6	5	4	3	1	9	8	7	2
3	2	8	5	7	4	1	9	6
9	1	2	8	5	3	7	6	4
5	4	7	6	2	1	3	8	9
8	6	3	4	9	7	2	5	1
4	3	5	1	8	6	9	2	7
2	8	9	7	4	5	6	1	3
1	7	6	9	3	2	5	4	8

ექსპერტი

9	2	7	6	3	5	4	1	8
1	8	6	4	2	7	3	9	5
5	4	3	9	1	8	7	2	6
6	5	4	3	9	2	1	8	7
3	7	9	5	8	1	2	6	4
2	1	8	7	6	4	5	3	9
4	6	2	1	7	9	8	5	3
8	3	5	2	4	6	9	7	1
7	9	1	8	5	3	6	4	2

მე-12 გვერდი: 1. ტერარიუმი; 2. ბეტონი; 3. ტორკვემადა; 4. რანეტი; 5. რეოსტატი; 6. ბონბონიერი; 7. ტამიში; 8. ნიზამი; 9. გრინგო; 10. ორატორია; 11. ტიტოვი; 12. ნამაზი; 13. იტრია; 14. ოლქი; 15. ერიდა; 16. ორშიმო; 17. ამა; 18. ეოლითი; 19. ლოპე; 20. ლიტი; 21. თბილისი; 22. ატოლი; 23. ოდა; 24. ხავსი; 25. მიმანსა; 26. რკონი; 27. ბაო; 28. ვარსქენი; 29. ასმერა; 30. ვექსილოლოგია; 31. პრიმა; 32. გალა; 33. იაიკი; 34. ალაზა; 35. ზეობა; 36. დიახ; 37. ქიმი; 38. კეგლი; 39. დასტამბო; 40. აია; 41. სოკო; 42. ემუ; 43. სირმა; 44. ნილსი; 45. მარმელადი; 46. ასა; 47. მამაი; 48. მუმია; 49. კინოლოგია; 50. რაბი; 51. ალო; 52. ალადასტური; 53. საბო; 54. ტიკი; 55. რელსი; 56. „კია"; 57. ინია; 58. დინგო; 59. ნიანგი; 60. ანემია; 61. ეტნა; 62. ილორი; 63. აბორტი; 64. და; 65. სასახლე; 66. ჰიუგო; 67. ასკილი; 68. ხოტა; 69. იელი; 70. სოლო; 71. ჰიტროუ; 72. იბიცა; 73. ცუგა; 74. ხატია; 75. ხასაია; 76. ბაი; 77. ესე; 78. ორი; 79. ნოტოგეა; 80. ლაილაი; 81. აყუა; 82. „ოტო"; 83. ყია; 84. ლიბო; 85. ნატი; 86. ია.

შაკიკს თმისსამაგრით შეებრძოლებიან

ცოტა ხნის წინ აშშ-ში მოიწონეს და მალე გაიყიდება ერთგვარი მოწყობილობა შაკიკის პროფილაქტიკისთვის. ეს ერთ-ერთი ბელგიური კომპანიის ელექტრული ნეიროსტიმულატორია Cefaly. როგორც ცნობილია, შაკიკის შეტევისას თავისტკივილს შეიძლება ახასიათებდეს თავბრუსხვევა, გემიანოპსია (მხედველობის ნაწილობრივ დაკარგვა), ღებინების შეგრძნება, მკვეთრი შუქისადმი ჰიპერმგრძნობელობა, ყურში ხმაური, რაც 4-დან 72 საათამდე გრძელდება შესაფერისი თერაპიის არარსებობის შემთხვევაში. სტატისტიკური მონაცემებით, მტანჯველი თავისტკივილი მსოფლიო მოსახლეობის 10%-ს აწუხებს, სუსტი სქესის წარმომადგენლებში კი შაკიკი სამჯერ მეტად გვხვდება, ვიდრე მამაკაცებში. ამ დაავადების პროფილაქტიკისთვის ბელგიელებმა პორტატული მოწყობილობა შექმნეს, რომელიც გარეგნულად ჩვეულებრივ პლასტმასის „აბადოკს" მოგვაგონებს, ცენტრში ელექტროდებით. მომხმარებელი ამ რკალურას ისე იკეთებს თავზე, რომ ელექტროდები შუბლის ცენტრში, თვალების დონეზე აღმოჩნდეს. ჩართვისას სამაგრი სუსტ დენს უშვებს კანსა და მიმდებარე ქსოვილებზე, შედეგად კი სამმაგი ნერვის ბოჭკოებს ასტიმულირებს. მოწყობილობის გამოყენება, დაავადების პროფილაქტიკის მიზნით, 18 წელს გადაცილებულებს შეუძლიათ, დღეში მხოლოდ 20 წუთის განმავლობაში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:
ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;
წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.
დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge